

n. 23

უცხოთის დრამატურგი.

◆ კერძარტ კაზატმანი ◆



# = ავერაული ხელხელ =

დრამა 2 მოქმედებად

გალერიან გუნიას ნათარგმნი.



გამოცემა  
ვიქტორ მატარაძისა.



სტანდა მ. კიკნაძისა, ნიკ. ჭუხა № 6.

1908.



తిరుపతి

რა ე ასე დევილ  
ფილმებია?

უცხოეთის ღრამატურგია.

## პერგარტ ჰაუკტმანი

## ავარეულო ხალხი

ღრამა 2 მოქმედებად.

36 4/2

ვალერიან გუნიას ნათარემნი.



გამოცემა  
ვიქტორ მატარაძისა:



სტამბა მ. კიკნაძისა, ნიკ. ქუჩა № 6.  
1908.

---

Дозволено цензурою, Тифлисъ 1907.

---



პერგარტ ჰაუპტმანი.

## ჰერებარც ჰაუპტმანი.

გაუპტმანი (Hauptmann) ამ უამად ითვლება ერთს საუკეთესო და გამოჩენილ დრამა-ტურგად მსოფლიო მწერლობაში.

გაუპტმანისთანა მძლავრი და ხელოვანი დრამატურგი იბსენის შემდეგ ამ წანად არავინ არის ქვეყნის ეროვნული და გამოჩენილ დრამა-ტურგად მსოფლიო მწერლობაში.

გაუპტმანის შემდეგ ამ წანად არავინ არის ქვეყნის ეროვნული და გამოჩენილი მას თვით შექსპირსაც უტოლებენ, მაგრამ შექსპირს რომ თავი დავანებოთ, გაუპტმანი მაინც როგორც ზემოდ ვსთქვით ერთი უდიდესი მწერალთაგანია და იგი ღირსეულად მხარს უჭერს და იქმნება მაღლადაც იდგეს დრამატურგის ისეთს ბუმბერაზე როგორც მაგალითად იბსენი, სტრინდბერგი, მეტერლინკი, პშიბიშევსკი, ბიერსტონი, დანუნციო.

გაუპტმანი შედარებით ჯერ ახალგაზდა მწერალია. ხუთმეტი წელიწადია რაც იგი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა და ამ მცირე ხნის განმავლობაში მან მსოფლიო სახელი მოიპოვა, მისი სახელი ერთნაირის დიდებით იხსენიება როგორც ეკრანაში ისე ამერიკასა და აზიაში.

გაუპტმანი დაიბადა გერმანიის სილეზიაში ობერზალ-პბრუნში 1862 წ. 15 ნოემბერს. მისი წინაპრები ფეიქრები იყვნენ. ყმაწვილობაში გაუპტმანი მაინც და მაინც ვერ იყო სწავლა-განათლების მეცადინე. თექვსმეტი წლისამ ძლიეს გაათავა საშუალო სკოლა. მერე ბიძა მისმა გუსტავ შუბერტმა აიყვანა, თითქმის იშვილა და საშუალება მისცა ევროპაში ემოგზაურნა. მოგზაურობამ ახალგაზდა გაუპტმანს ბევრი რამ შესძინა, მან საფუძვლიანად გაიცნო და შეისწავლა მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება (სკულპ-

ტურა) და სასცენო ხელოვნებაც. როგორც ჭაბუკი იგი პირველ ხანებში ყველა ჩამოთვლილ ხელოვნებას სულით და გულით ეტანებოდა და ქანდაკებაში დიახაც დიდი ნიჭი და უნარი გამოიჩინა. ოც-და-ორის წლისამ ცოლი შეირთო. ამ ხანებშივე დაიწყო წერა. მისი პირველი პოეტური ნაწარმოები ლექსები და პოემები სუსტი იყო. მისი ნამდვილი ლიტერატურული ხანა იწყობა 1889 წ. როცა მან დასწერა ცნობილი და განთქმული დრამა «ავადმყოფი ხალხი» (Das Friemensfest). ამ დღიდან მისი სახელი საოცარის სისწრაფით იზრდება და მისი დიდებული და იშვიათი ნიჭი შეუპოვრად იშლება და ხიბლავს თანამედროვე საზოგადოებას—ინტელიგენციას და მასსას.

გაუპტმანის ნაწერები სამგვარის ხასიათი-სანი არიან: რეალისტებური სოციალური დრამები («ფეიქრები», «მზის ამოსვლამდე») ინდივინდიალური და ფსიხოლოგიური («ავადმყოფი ხალხი», «მეეტლე ჰენშელი») და სიმბოლიური («ჰანელე», «ჩაძირული ზარი»).

გაუპტმანი მეტის მეტად თავისებური მწერალია, იგი ყველა წარჩინებულ დრამატურგებს წააგავს და იმავე დროს ყველასა სჯობნის ხელოვნებით და სიღრმით. არც ერთს მწერალს ისე არ ეხერხება ბავშვების და ქალების სულის კვეთების აღწერა, როგორც გაუპტმანს, ამ შემთხვევაში მას სწორედ ბადალი არა ჰყავს. მისი ნიჭი ნაზია, ღრმა და შეუპოვარი და იმავე დროს სიყვარულით აღსავს.

უეჭველია, გაუპტმანი კიდევ ბევრს რა-სმე დიდებულს და შესანიშნავს შესხენს კაცობრიობას.

## მომქმედნი პირნი:

ვარდაბის შოლც, 68 წლისა, ექიმი.

მინა, ამისი ცოლი 46 წლისა.


ავგუსტა  
რობერტ  
ვილჰელმ

მარიამ ბუხერისა, 42 წლისა.

ილა, ამისი ქალი, 20 წლისა.

ვარდა, მსახური შოლცებისა, 50 წლისა.

მოქმედება სწარმოებს ქრისტეს შე-  
ძის წინა დღეს, საფლის განკერძოებულს  
ერთ-ერთს სახლში.



## მოქმედება პირველი.

**სცენა.** ორივე მოქმედება სწარმოებს დიდს დარბაზში, რომლის კედლები მორთულია ძველებურის სურათებით, ირმის რქებით და საზოგადოდ ნადირების თავებით. ჭაღში, რომელიც ირმის რქებისაგან არის გაკეთებული, ახლად გამართულია სამთლები. უკანა კედელი შუშაბანდიანია, საიდანაც მოსჩანს შემოსასვლელი დიდი კარები; აქეთ-იქით ფანჯრებია, რომელნიც თითქოს დაორთქლილნი არიან სიციფესა და ყინულისაგან.

კედელში მარჯვნივ სრული თაღი მოაჩანს, საიდანაც გზა აღის მეორე სართულში. ამავე თაღიდან ერთი კარი ქვემოდ სართულში მიღის და მეორე სამზარეულოსაკენ, მარცხენა კედელშიაც ორი კარია, ერთსა და იმავე ოთახში გასასვლელი. კარსა და კარს შუა კედელთან ძველებური საათია აღმართული, საათს ზემოდ ფრინველის ჩინჩხია ჩამოკიდებული. დარბაზი მორთულია ძველებურის მუხის ავეჯით: სკამებით და სავარძლებით. მარჯვენა მხარეს მაგილა სდგას, ზედ თეთრი სუფრაა გაშლილი. პირველ მოქმედებაში დარბაზი ხის მწვანე ტოტებით არის მორთული და მარცხენა მხარეს მაგიდაზე სდგას შობის ხე, რომელსაც მინა შოლცისა და ბუხნერისა სანთლებით ამკობენ და ამშვენიერებენ. სამზარეულოს კარებთან სდგას ფრიბე და რაღაცას სთლის.

ფრიბეს ზედ აცვია სხვისი ტანისამოსი და ისიც გაჭუჭყიანებული. მარიამ ბუხნერისა სრული დედაკაცია და ყველაფერში ეტყობა, რომ ბედით კმაყოფილია, ხოლო მინა შოლცისა უდროვოდ დაბერებულა. უვემურად აცვია; სათვალეს ატარებს. მიხვრა-მოხვრა სწრაფი აქვს, სიტყვა-პუსუხი ოდნავ ანჩხლი და მუდამ მტირალი კილო. ყოველთვის აღელვება ეტყობა; მარიამ ბუხნერისა კი დინჯია—თითქოს სხვისთვის ცხოვრობსო და საპირადო არა აქვს-რაო. მაგიდაზე სდგას ორი დიდრონი შანდალი. ოთახი განათებულია ნაფთის ლამპარით.

## I

ფრიბე. (სამზარეულოს კარებიდან) არა, რა გარგი წე გამოვიდა-და!

ბუხნერისა. მართლაც და კარგია!

ფრიბე. ჩემი ამორჩეული ყოველთვის გარგი იქნება.

მინა შოლც (სიტყვას აწყვეტინებს მოუთმენელის კილოთი). ტყუილ უბრალოდ დროს ნუ ჰქარგავთ; ისედაც ბევრი საქმე გაქვთ!

ფრიბე. თუ არას მათქმევინებთ—არც არას ვიტყვი! (უკმაყოფილოდ გადის სამზარეულოში).

მინა შოლც. სწორედ გადარეულსა ჰეგავს ეს ბებერი! ადგილად წარმოიდგენთ, რა უნდა ყოვილიყოდ ჩემი ქმარი, თუ ეს გამოყეყეჩული მსახური სულზედ უტკბესად მიაჩნდა. თუ ფრიბე ახლოს არ ეგულებოდა, მთელი დღე თავის დონეზე არ იყო წოლმე!.. ეგრეთ უცნაური ქაცის ამბავი! (შემოდის უგუსტა).

## II

ავგუსტა. (შემორბის სწრაფად შუშაბანდიან

კარებიდან. ძრიელ აღელვებულია. კარებს მალე გამოიხურავს და იქვე გაჩერდება, თითქოს უნდა დაუშალოს ვისმეს შემოსვლაო).

მინა შოლა. (შეშინებული რამდენჯერმე დაწივლებს). ოჟ, ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო!

მარ. მუსიკა. რა იყო? რა ამბავია?

აჯგუფა. (მაღალი ტანისაა და ძრიელ გამხდარი. ჩაცმულია უკანასკნელ გემოვნებაზე; ზამთრის ვიწრო ტანისამოსი აცვია, აგეთივე ქუდი და ხელსათბობი. ფეხები და სახე მოგრძო აქვს. ლამაზი არ არის. ტუჩები ძალზე წვრილი და მუდამ მოკუმული აქვს, ცხვირზე პენსნე (სათვალე). ავგუსტაც დედასავით მუდამ აღელვებულია მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იგი ყოველთვის მზად არის წაეჩერებოს და გამოეკამათოს ვისმე,— მთელს მის არსებას ეტყობა უკმაყოფილება, უიმედობა, და სიანჩხლე). გარედ... ღმერთს ვფიცავ... გიღაც უგან... გვალ და გვალ მომსდევდა!

მარიამ მუსიკა. (საათს გასინჯავს). იქნება ვილჟელმი ჩამოვიდა? არა, ვილჟელმი არ უნდა იყოს. ჯერ მატარებელი არ მოსულა (ავგუსტას) მდინარეობით!.. (უნდა კარებში გაიხედოს).

აჯგუფა. არა, არა, არა! ღვთის გულისათვის, კარი არ გაადღო!

მარიამ მუსიკა. შვილო, ნერვები გაქვს ამლილი! (გასძახის ნახევრად გაღებულ კარებში). ეჟი, ძანდ ვინა ხარ? (სიჩუმეა).

მინა შოლა. არა, საგვირველია სწორედ: არ იქნება რომ არა მოიგონოს-რა!

აჯგუფა. მოვიგონორა! ერთი არ მეტყვი, რა მოვიგონე, ან რას ვიგონებ?

მინა შოლა. კარგი შენ დაგემართოს, კარგი შვილი შენ იყო!

აჯგუფა. თავი დამანებე, ღვთის გული-

სათვის! როგორ არ შემინდები, როდესაც  
ასეთს ბნელ ღამეში მარტოდ მარტოგა  
მიდიხარ!

შარიაშ შუსრულისა. (მოპევებს წელზე ხელს).  
ვეჲ, რა ეჭვიანი წარ და ანჩხლიცა! მოდი,  
შვილო, გაიხადე (შველის წამოსასხამის გახდას).  
აი აგრე ემჯობინება! (შემოდის იდა).

### III

ღდა. (შემოდის მანდილით მხრებზე, ხელში  
უჭირავს სხვა და სხვა ქალალდის კოლოფები).  
რა მოხდა, რა ხმაურობა იყო?

მინა შოლო. ავგუსტამ დაგგაფრთხო და.  
შეგვაშინა.

ღდა. (ზევით უწევნებს მეორე სართულისაკენ).  
იქ, ზევით როგორდაც მომწყინდა მარტო-  
გას და თქვენთან ჩამოველი.

მინა შოლო. შვილო რობერტიც ხომ იქა-  
ცხოვრობს...

ღდა. (კოლოფებს მაგილაზე აწყობს და ამო-  
აქვს სხვა და სხვა ნობათი—ნიკოები). სცხოვ-  
რობს, მაგრამ მთელი სართული მაინც  
ცარიელსა ჰგავს, აქ-ცი უფრო თბილა...  
მართლაც და შობის ხეს მოწყობა მრიელ  
სასიამოვნო რამ ყოფილა.

აჯგუსფა. თუ კარგად ჩაუგვირდები, შო-  
ბის ხე მოზრდილებისათვის საინტერე-  
სო სულაც არ არის!

მინა შოლო. შობის ხე ჯერ არც ერთხელ  
არ გაგიწყვია... ვერაფერ ამბავს დამა-  
წევდა ჩემი ქმარი, შობის ხეს გამართვა  
რომ განმეზრახა... ჩემი ქმარი!.. წარმო-  
იდგინეთ სადილსაც გი არ სჭამდა ჩვენ-  
თან ერთად. ჩვენ ყველანი ქვემოდ ვცხო-  
ვრობდით და ის კი ზემო სართულში იყო  
მარტოდ მარტო განდეგილსაგით! თუ რა-  
მე დაგვჭირდებოდა, ღმერთია მოწამე,

ფრიბეს შუამავლობით უნდა მიგვემართნა მისთვის. თორემ ჩვენ თავად ვერას გავაწყობდით!..

აჯგუსცა. (ნახშირს ქექას ბუხარში). გაჩემდი, ღვთისგულისათვის.

მინა შოლც. შენ პიდევ აგრე უწყალოდ მეშას ნუ აოხრებ!

აჯგუსცა. მაშ ითახს ნუდარ გავათბობთ!!

მინა შოლც. დჲ, თავი დამანებუ, ნუ ჩა-მაცივდი!

აჯგუსცა. (გადისვრის მაშას) ძალიან არ მე-ნაღვლება? (ანჩრლად გადის მარცხნივ).

იდ. ავგუსტა, სად მიდიხარ? (მინა შოლც). დამშვიდდით, ეხლავე გარგს გუ-ნებაზე დავაყენებ! (გადის მარცხნივ).

მინა შოლი. (დალონებით), აი რანაირნი არიან ჩემი შვილები! სულ ეგეთები არიან! არა, რა გომიოდ დადგა და! რომ ვერა გააჩერებს რა. სან მთელი გვირაობით აი-ტუზება წემოდ და სიტყვასაც ვერ გაიგო-ნებს ადამიანი იძისაგან, სან კი იძაზე გა-დაირევა წოლმე. რომ უჯახში სრულებით მეტი ვარო!.. შენ კი ბედნიერი ხარ... შე-ნი ქალისთანა გეთილი არსება იმვია-თია!..

შარ. ბუსრუსცა. ავგუსტაც გეთილი ქა-ლია!

მინა შოლც. შენი იდა ფირტობიანზე რომ დაუკრავს... რომ დამღერს, შარტო ის რადა ღირს? მერე რა მომხიბლავი ხმა აქვს. მე მრიელ მიყვარს მუსიკა... სიმ-ღერა...

შარააშ ბუსრ. შენ კი თვითონ რატომ არ უკრავ?

მინა შოლცია. გარგი ამბავი იქნებოდა, მე რომ დამეკრა, მამინ ცხოვრებაც ერთი ათად უფრო გამიმწარდებოდა. ავგუსტაც ხომ მამასავით ნერვებ აშლილია! ქმარი,

ჩემს ფლრტიპიანის დაპვრას რომ გაი-  
გებდა, სახლიდან გარდედა.

შარიაშ ბუსირ. შენ შენს ვილჲელმს უნ-  
და დაუგდო ყური! მნელია მისთანა ნიჭი-  
ერი დამკვრელი! ჩემი იდა უიმისოდ რა  
იქმნებოდა. დღეს იდამ რაც იცის, სულ  
ვილჲელმისაგან აქვს შეძენილი.

შინა შოლც. დიას... ჩემი ვილჲელმი დია-  
საც ნიჭიერია,—ჩემთვის სწორედ დიდი  
სიამოვნება იყო, როცა იმას მუსიკას გა-  
სწავლიდი!.. მე მაინც გაოცებული ვარ,  
რომ ვილჲელმმა ჩამოსვლა გაბედა. მიგ-  
ვირს სწორედ, როგორ ჩააგონე და დაარ-  
წმუნე რომ ჩამოსულიყო...

შარიაშ ბუსირ. ჩამოსვლა ჩემი კი არა, იდას  
ჩაგონებულია.

შინა შოლცის. აი, რობერტი, თუმცა ჩვენ-  
ზე დარდი არც იმდენად აწუხებს, მაგ-  
რამ ათასში ერთხელ მაინც ჩამოვა ხდე-  
ბე; ამის მადლობელიცა ვარ. მაგრამ ვილ-  
ჲელმი აგერ ექვს წელიწადზე მეტია  
ოჯახში თვალითაც არ გვინახავს... ჩემი  
ქმარი და შვილი მთელი ექვსე წელიწადია  
სახლში არ ყოფილან! (სიჩუმე) ნუ თუ  
იდამ რაიმე ზედ-გაგლენა იქონია ვილ-  
ჲელმზე?

შარიაშ ბუსირ. ზედ გავლენა კი არა და,  
იხე კი ყველაფერში უჯერებს...

შინა შოლც. სწორედ საკვირველება მო-  
მხდარა. ვერ წარმოიდგენ, რა გულ ჩახ-  
ვეული ბავშვი იყო ყველთვის ჩემი ვილ-  
ჲელმი. ზედ გამოჭრილი მამა იყო. არც  
ბავშვიაში, არც სიყმაწვილე-ჭაბუკობაში,  
არც სასწავლებელში და არცა სხვა დროს  
როდისმე. ვილჲელმს ამხანაგი არა ჰყო-  
ლია; ახლოდ არავის დაახლოვებია.

შარიაშ ბუსირ. მართალს ამბობ. წინა ზა-  
ნებში ჩვენც გვერიდებოდა, იგი მზოლოდ

გაკვეთილებისათვის მოდიოდა და იხე კი, თუ არ საქმის გულისათვის, ფეხს არ შემდგამდა ჩვენსა.

მინა შოლცის. მაგრამ ბოლოს წომ მონადირეთ იმისი გული; იდაზე რომ დაინიშნა განა ეგ კი საკვირველი არ არის?

მარიამ ბუსნარ. ყველაფერს მოწერხება და ცოდნა უნდა.

მინა შოლც. მამასთან განხეთქილების შესახებ წომ არაფერი უამბნია?

მარიამ ბუსნარ. არაფერი; ეს კია, ვილ-ჰელმს რაღაც საქციელი მმიმე ლოდივით აწევს გულზე; მაგრამ, რაც უნდა იყოს, ამდენი წნის მანანიებით ყოველივე ცოდნა შეისყიდება...

მინა შოლცის. არა, არა; მაგას ნუ ამბობ! ამისთანა ამბები მალე არ ივიწყება! რა თქმა უნდა, მადლობის ღირსი წარ, რომ ასე ცდილობ და ჩემი ბიჭიც კარგად იქცევა, რომ თავის ოჯახს უბრუნდება, მაგრამ მე მაინც არა მგონია, რომ ამით გამოვიდეს რამე!

მარიამ ბუსნარ. მე კი დარწმუნებული ვარ, რომ საქმე გარიგდება.

მინა შოლცის. ქვეყნად ყვალაფერი შესაძლებელია... მე კი სულით და გულით მოხარული და ბედნიერიც ვიქნები ჩემს ბიჭს რომ ვნახავდე... მაგრამ ვაი თუ შენა სცდებოდე... მე კიდევ შეუძლებელი მგონია (შემოდის იდა).

#### IV

იდა. (შემოდის მარცხნივ, ალერსიანად მინა შოლცს) ავგუსტა კაკლებს ავარაყებს.

მარიამ ბუსნარ. იდა, შვილო, გვიანდება, დროა მოირთო, თორემ საცაა ვილჰელმიც მოვა...

იდა. (შემკრთალი). განა აგრე გვიან არის? მინა შოლცისა. თავი დაანებე; ჩვენი იდა მღურთველადაც მშვენიერია.

მარტინმ შესწორისა. მე ცისფერი ქაბა მოგიმზადე (მიმავალ იდას) გულზე სადაფი გაიგეთმ, გესმის? (იდა გადის),

მარტინმ შესწორისა. არ უყვარს იდას მორთვა-მოგაზმვა. (გარედ კარები გაიღება).

მინა შოლ. მოითმინე... ვიღაც არის!..

მარტინმ შესწორ. (შიგა კიბეზე ამავალ კართან). იდა, მგონი, შენი ვილჟელმი მოვიდა. (შუა კარებიდან ვილჟელმის მაგიერ შემოვა ექიმი შოლცი. შოლცი ვეებერთელა ტანისაა, მხარ-ბეჭიანი და გასუქებული სახისა უფროა, თვალები უმოძრაო, ხოლო რანდისხან მოუსვენრად იხედება. ჭაღარა ბაკენბარდები (წვერი ნიკაპზედ მოკარსული) მოძრაობა უხერხული და აკანკალებული. ლაპარაკობს ქშენით, თითქოს პირი ფევილით ჰქონდეს სავსეო, სიტყვებზედ ბორძიკობს, ჩაცმულია უგემურად. სერთუკიდა შარვალი უფერულია—ძველები. მატყლის ფერი ქუდი; ძველებური ყელსახვევი აბრეშუმისა—დარაისი. ჰერანგი დაჭმუჭნული. ცხვირს იხოცავს დიდს ცხვირსახოცით, რომელსაც არშია აქვს შემოვლებული. მარჯვენა ხელში ირმის რქიანი ჯოსი უჭირავს. ზედ სრული წამოსასხამი აცვია სამხედრო გემოვნებაზე შეკერილი, მხრებზე პლედი—შალი).

## V

შოლცი. (შემოდის). თქვენი მონა მორთილი.

მინა შოლ. (გაშტერებით შეჰქოურებს, თითქოს საიქიოდან მოსულს).

შოლცი. დიაღ... როგორცა მწედავ.

მინა შოლ. (გაექანება რომ მოეხვიოს). ფრიც! (გადაეხვევა. ამ დროს შემოდის ავგუსტა).

## VI

აჯგუცფა. (გამოვა), მამავ! (ამას რომ დაიკივლებს განზე გადადგება და მოუსვენრად უყურებს მშობლებს და მათ ლაპარაკს).

წარიაპ ბუნებრ. (ჩუმათ გაიწევს უკან და სრულებით გავა მარცხნივ).

შოლცი. დიახ... ეს მე გარ .. მაშ!.. ფრინე კიდევ აქ არის? (ამ დროს ფრიბე სამზარეულოდან შეშინებული გამოიყურება, მერე ერთბაშად მიხვდება და გამოვა).

## VII

ფრინე. (ფრიბე გამოვა და ხელებზე ჰკოცნის ექიმს). ბატონო ექიმი! ღმერთო ჩემო, აბაროდისმე დავიჯერებდი ასეთს ამბავს?

შოლცი. შენ ჟეი, აბა გასწი და იქ მიხედვე და გარები გარგად ჩაჰებულ!

ფრინე. (თავის დაკურით სწრაფად ასრულებს ბრძანებას).

შინა შოლცის. (გაოცებული). ერთი მითხარ, ერთი მიამბე, ფრიც... გონზე ვერ მოვსულვარ! (ტირილით ეხვევა). ეჱ, ფრიც რამდენი სიმწარე მაწვნიე ამ რამდენიმე წელიწადში!

შოლცი. (ტკბილად მოიშორებს ცოლს). ეჱ, განა ჩემი ცხოვრება კი ტკბილი იყო!.. მაგრამ თავი დაგანებოთ ძველ იარებს... გეტყობა, რომ შენი სულის პეტება ჯერაც არ დამცხრალა! (მწარედ). მე შენ არასოდეს არ შეგაწუხებდი ჩემის ჩამოსვლით, რომ... (ფრიბე წამოსასხამს და შალს მოხდის). წოგჯერ ისეთ მდგომარეობაში ჩავარდება ადამიანი, ჩემო მინა, რომ... განსაკუთრებით მაშინ, როცა გაცს, რაგორც მაგალითად მე.. ბევრი და ბევრი მტრები ჰყებანან!

ფრიმე. (ამ დროს გადის წამოსახსამით და შალით ზემო სართულში).

მინა შოლც. (უკმაყოფილოდ). მერე ვიხი ბრალია, ვინ გაიძულა, ფრიც!? შენ აქ თბილი კერა გქონდა. რა კარგად გაატარებდი შენ სიცოცხლეს ამ ჭერ ქვეშ...

შოლც. ნუ გეწყინება კი და ამას შენ ვერ გაიგებ...

მინა შოლც. ოდონდაც, მე ხომ სრულებით უბრალო დედაპაცი ვარ... შესაძლებელია, შენ მართალიც იყო, მაგრამ შენ შენი თავის ბატონი იყავი და არავითარი საჭიროებაც არ იყო... რომ

შოლც. პირ იქით, დიდი საჭიროება იყო. (იღუმალის კილოთი). დანაშაული მოითხოვს მსხვერპლს, ცოდოს შურის ძიება მოხდებს.

მინა შოლც. ეგ კი მართალია, ფრიც, რომ ბევრ რასმეში შენ იყავ დამნაშავე! (ამ წუთიდან, დრო გამოშეებით, მოქმედების დასრულებამდე იგი შიშით შეჰყურებს კარებს, რადგანაც ყოველ წუთს კილპელში მოელის). რა ტკილად და რბილად, რა ბედნიერად შეგვეძლო გვეცხვირნა, შენ რომ გდომებოდა...

შოლც. სულ მე .. მარტო მე ვარ დამნაშავე!

მინა შოლც. აი, ეხლა შენ თავსაც გადაშეტებით უსამართლოდ ჰქიცხავ.

შოლც. დიადაც რომ მართალს აშბობ; ბევრი სულმდაბალი ადამიანი შეერთდა ჩემს წინააღმდეგ; ეგ ხომ ყველამ უწყის... წარმოიდგინე, სასტუმროებშიც გი მსასურნი არ მასვენებდნენ... მოქლი დამეგბი არ მძინებია, სულ ჩემს დთახის წინ დადიოდნენ წინააღ განზრახვით.

მინა შოლც. დავიჯერ, შენს შესაწენებლად სჩადიოდნენ მაგას?

შოლცი. მაშ შენ რა გვითხია... მაგრამ ეგეც კია, უენ მაგას გერ გაიგებ.

შინა შოლც. შეიძლება ეგრეც იყოს. ხანდისხან სასტუმროების ტსაზურნი სამაგლები არიან!

შოლცი. სამაგლები? არამზადები არიან! მაგრამ ამაზე შერე ვილაპარაკოთ... როგორდაც თავი ამტკივდა. (კეფაზე წარვლებს ხელს). აი, ეს ადგილი! ეგეც ერთი სამაგლებაა! პარგად ვიცი თუ ვის მიზეზით დამჩემდა ეს ტკივილი! პარგად გამოვიძინებ და უპეტ შევიქნები; მრიელ დავიღალე!

შინა შოლც. ზეცით ცეცხლი არ დაგვინთია!

შოლცი. (ყურს არ უგდებს). წარმოიდგინე, ერთხელ ვენიდან რომ მთვდიოდი... ცეცხლი არ დაგინთიათ? არა უშავს-რა! ფრიბე ყველაფერს გააჩადებს... გვთაყვა, ფრიბეზე მითხარ რამე! ჰო, მართლა, რა უნდა მეგითხნა... ფრიბე ისევ საიმედო და სანდო კაცია, როგორც წინედ?

შინა შოლც. ფრიბე ისევ ის არის!

შოლცი. მეც აგრე ვთიქრობდი. ნახვაძლის! (ყველას ხელს ჩამოართმევს და ჩაფიქრებული გარვლის ზემო სართულრს კარებისკენ—ამ დროს შეამჩნევს შობის ხეს და გონება დაბნეული შეჭყირებს). ეს რას ნიშნავს?

შინა შოლც. (შიშითა და კრძალვით). შობას ვდღესასწაულობთ.

შოლცი. დღესასწაულობთ? (სიჩუმის შემცემ, წარსულის მოგონებით გატაცებული). ეჲ, რამდენი ხანია მას შემდგა! (მობრუნდება და გულწრფელად ეტყვას). იცი, შენც ხომ ბალზედ დაბერებულხარ!

შინა შოლც. დიახ, ფრიც, მე და შენ—ორნივე...

შოლცი. (თავს უკრავს, მიბრუნდება და კიბით ადის მეორე სართულში).

შინა შოლც. (ავგუსტას), აბა, ეხლა რაღა ჰქენას კაცმა!? მერე ვილჲელმიც მოსახვლელია! შიშით კინაღამ მოვგვდი! რა იქნებოდა, რომ მამა და შვილი ერთმანეთს შეხვედროდნენ?! ვილჲელმს ყოველ წესს შეეძლო შემოსულიყო. ღმერთი, კიდევ რაები უნდა გამოვცადო მე საბრალოდ დაბერებულმა!

ავგუსტა. საოცარმა, რაღაც გაუგებარმა გრძნობამ ამიტანა, დედავ! რა ზანია შევეჩიეთ მამის არ ყოფნას; ეხლა, თითქვს, დიდი წნით დასაფლავებული ცხელარი აღსდგა მგვდრეთით-მეთქი. დედა, შემინიან!..

შინა შოლც. იცი, მე რა მგვინია? იქნება ყოველივე შემოეხარჯა და...

ავგუსტა. ამას ვინ ჩივის; ეს კიდევ არაფერია!

შინა შოლც, კარგი, მაგრამ როგორდა ვიცხოვორთ?.. ეგრე თუ გაგრძელდა ჩვენი საქმე, მათხოვორბა უნდა დავიწყოთ. (შემოდის იდა, მას მოსდევს მარიამ ბუხნერისა).

### VIII

იდა. (გამოდის მხრარული, ახალის კაბით. ავგუსტას ხელს ჩამოართმევს და გრძელით ეტ-შვის). ავგუსტა ჩემი! ნუ თუ ეგ მართალია! ღჭე, რა მოსარული გარ, რა მოსარული! (მინა შოლცისა და ავგუსტა უკმაყოფილოდ გადაკრავენ ცრთმანეთს თვალებს).

ბ. ბუხნერისა. სწორედ არ მესმის თქვენი დანაღვლიანება... თვით ღმერთმა მოგივლინათ ამისთანა დროს! (ლაპარაკის ღროს და შემდეგაც შობის ხეს ამკობს იდასთან ერთად. შემოდის რობერტი).

## IX

რობერტი. (მარცხენა კარებიდან შემოდის. შუა წანის კაცია. მჩატე აგებულობისა, სახე გამხდარი და ფერმკრთალია. ღრმად ჩაცვივნული თვალები, ხანდახან ელვარებენ; წვერ-ულვაში პატარა, მოკლე ყალიონიდან ეწევა თამბაქოს). როგორდაც, მოუთმენლობას ვპრძნობ, დედა, შენთან.

შინა პოლო. ეხლა ესეც გულს გამიწყალებს!

ავგუსტა. იჟ, რაც უნდა სთქვას! (შურით შეხედავს იდას ჩაცმულობას).

რობერტი. (იდას, რომელმაც გაოცებით შეხედა რობერტს). დიახ, მე ეგეთი განლავართ, ჩემო ბატონო!

იდა. (თავის ქნევით). იჟ, არა, არა! ეგ შეუძლებელია!

რობერტი. (თავისუფლად ჩამოჯდება დივანზედ, მარცხენა მხარეს). ერთი მიბრძანეთ, რატომ გგონიათ, რომ შეუძლებელი იყოს ეგა? ჩემის აზრით, სულაც არა ღირს ადამიანი იმ გრძნობებში იმოსებოდეს, რომელიც სულ არ გააჩნია. დამიჯერეთ, არა ღირს, ჩემო ბატონო!

ავგუსტა. (ანხსლად). იჟ, რა სისამაგლეს ლაპარაკობ, რობერტ!

რობერტი. მე ხომ მაგას განზრახვით არ ვამბობ და მიტომ თქვენი კაბასობა სრულებით უადგილოა!

ავგუსტა. რაც გინდა იყბედე, ჩემთვის სულ ერთია!

რობერტი. უგაცრავად... მე ასე მეგონა .. მარტლა, რა ამბავია, ავგუსტა, რომ შენს გარეგნობას სრულებით ყურადღებას არ აქცევ?

იდა. (კეთილის გულით). ბ-ნი რობერტ, აბა როგორ იქნება!

რომელი. მაშ თავი არ უნდა დავიცვა!

აჯგუსფა. (ძლივს იმაგრებს ცრემლებს). ყოველი შენი სიტყვა, შენი ზნეობის გამოძხატველია! მითომ ჩემი წნოვანობა სასაცილოდ აიგდე! რა სიმდაბლეა! განა სიმდაბლე არ არის, ბატონები, როცა დამცინიან მე, რომელმაც საუკეთესო ჩანა სიყმაწვილისა და ახალგაზდობისა, დედის გვერდზედ გავატარე?! მაშინ როდესაც თქვენ... მე თითქოს მოახლე ვყოფილოყავ!..

რომელი. ღჟ, რა მართლად და ბუნებრივად მოგივიდა ებ სიტყვა. მე შენი ვიყო, ეხლავე სცენაზე შევიდოდი! (სხვა უფრო მაგარი კილოთი). რას იგრისები, რას იპრანჭები! მერწმუნე, რომ წამებულთა სიწმინდე შენ სრულგბით არ შეგვერის! შენ რომ შინ დარჩი, ამის მაზეზი სხვაა და არა შენი გულპეტილობა და სათნოება! მართალი თუ გინდა, ეს არის!

აჯგუსფა. (გრძნობით). დედავ, მოწმე შენა წარ: უარი არ მითქვამს სამი საქრმოსათვის!

რომელი. რა თქმა უნდა; დედას რომ შესძლებოდა შენთვის ქრთამი და მწითევი მოეცა, მაშინ ის შენი საქმრონი ერთს წერთსაც არ დაუიქრდებოდნენ და ფულთან ერთად შენც გავანადდებდნენ!..

მარა შოლც. რაო, ფულიო? (რობერტს ხელის გულს გაუწვდენს). აჲა, აიღე დანა და ხელის გულიდან ამოსჭერ ფული!

აჯგუსფა. (ძალზე გაკაპასებული). მაშ შენის აწრით უმზითვოდ არ მივყვანდით! გინდა ეხლავ გიჩვენო წერილები, რომლებშიც მე თითონ ვეუბნებოდი უარსა!?

მარა შოლც. შვილები! (გულს მიუშვერს, თითქოს დასაკერელად). აჲა, აქ, აქ დამკარით ბარემ! ნუ თუ დღნავათ შებრალება მა-

ინც არა გაქვთ ჩემი! ღვე, ღმერთო ჩემი,  
სუთს წუთს მაინც მოვისვენებდე... რა  
შვილებია! ღმერთო, წუთი წუთსაც ვერ  
გასძლებენ, რომ არ იჩსუბდენ!

რომელი. აბა რა? განა ტყეუილადა ვხთქვი,  
რაღაც მოუთმენლიდას ვგრძნოდ აქა-მეთ-  
ქი! (შემოდის ფრიბე).

## X

ჯრაში. (აფუსფუსებით შემოდის. მივა მინა  
შოლცთან და რაღასაც უჩურჩულებს. შოლ-  
ცისა მალე გაღასცემს გასალებს და ფრიბე სწრა-  
ფად გადის).

რომელი. (რომელიც ჩუმათ თვალყურს ადევ-  
ნებდა ამ სცენას). ღვეო!

აჯგუსფა. (რომელიც თვალს არ აშორებს  
რობერტს, მწარედ ორცვის). შენმი წმინდა და  
სათნო სულ არ არის რა, სრულებით  
არა არის რა! პრანჭიაობა და გრეხიაობა  
სწორედ შენი ხელობაა! შენ სულ მუდაშ  
სტყუი, სულ მუდამ თვალთმაქცოდ, აი ეს  
არის სამაგლობა და სულმდაბლობა!

შინა შოლც. (გაერევა მათი ლაპარაკში). გაა-  
თავებთ თუ არა თქვენს დაუსრულებელ  
დავას!?

იდა. (რომელიც შობის ხეს ამკობდა, შუშა-  
ბანლიან კარებში გადას).

აჯგუსფა. ფუი, რა ურცხვი რამა წარ!

რომელი. ურცხვი! დიახ, მართალია, მე  
სწორედ ურცხვი ვარ!

შარააშ ბუნებრივა. ბ-ნო რობერტ! თქვენი  
სულ არა მჯერა რა! თქვენ ბევრად იმაზე  
უპეტესი წართ, რაც თქვენა გგონიათ, და  
რათაც თავი უნდა გვაჩვენოთ.

რომელი. (დაცინვით). პატივცემულო ქალ-  
ბატონი! იქნება თქვენის მსრით ეგ დიდი  
ზრდილობაც იყოს... მაგრამ თუ მართალს

მათქმევინებთ, მე სწორედ კერ გამიგია, რა გაიმულებთ თქვენ ჩემზე კარგის თქმას?.. სამწუხაროდ, მე უარი უნდა ვყო თქვენი ურდილობიანი გულკეთილობა, რადგან მე ჩემს თვალში ჯერ ისე არ დავ-ცემულვარ, რომ ვისიმე დაქომაგება მჭირ-დებოდეს ან დარიგება...

შატრიაშ მუსიკარისა. (დარცვენილი). მე არ-ცა მქონია აჩრად თქვენი... მე ისე ვსთქვი, მაშიოთქვენისათვის.

რომელც. ჩემთვის მამაჩემი გასლავთ ექი-მი ფრიდრიხ მულგი და სხვა არაფერი.

აკუსტიკა. მოჰყვა თავისებურად!

რომელც. მე თუ ისე გულგრილად არ გაქცევი მამაჩემს, როგორც სხვას, სრულა-ბით უცხო კაცს ან გადარეულს და გიქს ვისმე... ეს იმის ბრალია, რომ... (თავაქოს ძალზედ ისწევს). რომ თვითონ მე ცოტად თუ ბევრად შედეგი ვარ მამაჩემის ხიგი-ეისა!..

შატრიაშ მუსიკარისა. (გაოცებული). უკაცრა-ვად, ეხლა კი სრულებით არა გამეგება რა თქვენი... მიგვირს, ენა როგორ გემორჩი-ლებათ ამისთანა რასმე რომ ამბობო!

შინა შოლცისა. (ბუხნერისას). დამშვიდდი, ჯერ კიდევ სადა ზარ—მაგისთანაებს გა-იგონებ და ნახავ!؟ (შემოდის ფრიბე).

## XI

ფრიბე. (ამოდის სარდაფიდან, ხელში სამ, ბოთლი უჭირავს. იღლიაში კონიაკის ბოთლი აქვს ამოჩრილი, მარჯვენა ხელში გასაღებები უჭირავს. აფუსფუსებით ეტყვის მინას). ეხლა, მალე ცივარები!

შინა შოლც. დეკრო! მე სულაც დამავი-წყდა, თუ სად არის.

რომელც. (ამოიღებს ჯიბიდან გასაღებს და

აძლევს ფრიბეს), გასაღები მე მაქვს, აჲა, გამომართვი! დასტკბით მამაჩემის ციბარებით!

ფრიბი. ეჲ, ნეტავი თქვენ! მთელი დღე პირიდან ციგარას არ ამოიღებს და მე კი... (ზარის ხმა). მოვდივარ, მოვდივარ! (საჩქაროთ გადის ზემო სართულში).

მინა შოლა. აგრე თუ გაგრძელდა, ჩვენს სარდაფში არც ერთი ბოთლი არ დარჩება! ღმერთი, რით უნდა გათავდეს ყველივე ესა!? რამდენი ღვინო მიდის! ყოველთვის ძვირფასი ხიგარები. აი, დაიმანს-სფრეთ ჩები ხიტყვები, საბოლოვოდ ისე გაიხდის საქმეს, რომ რაიმე უბედურება შეემთხვევა!

რობერტი. მაგის უფლებას გი ვერ წაართევ!

მარტინ მუხრანისა. მაგით რა გნებავთ სთქვათ?

რობერტი. მე ის მსურს ვსთქვა, რომ ყოველს კაცს უფლება აქვს თავისებურად გაატაროს დრო!.. ამ უფლებას არავის დაუთმობს, კანონსაც კი არ დაუთმობს.— მე კი ძრიელ მიკვირს!

მარტინ მუხრანისა. რა გიგვირსთ? ჩემში ხდებ არას სედავთ საკვირველსა!

რობერტი. ეგ იმაზეა დამოკიდებული, თუ რა თვალით უყურებს კაცი ამა თუ იმ საგანს. თქვენ აგერ რამდენიმე დღეა, რაც ჩვენსა ბრძანდებით და როგორცა სჩანს უპან დაბრუნება ფიქრადაც არ მოგხდით!

ავგუსტა. რაებს მიედ-მოედება!

მინა შოლა. (უნუგეშოთ თავს იქნევს). ნეტა როდის მოედება ბოლო ასეთ ყოფას!

რობერტი. (ტლანქად). განა ტყუილს ვამბობ, დედაჩემო! განა როდისმე ყოფილა ისეთი მაგალითი, რომ უცხო კაცს ჩვენ-

სა ნახევარ დღეზე მეტი გამტარებინღს? განა ნიცმებს ოჯახი არ მოგვმორდა? ლემა-ნები კი? აჲ!

ავგუსტა. ძალიან გი არ გვეჭირვება ლემ-ნებიანი. მე ასე მგონია, რომ ჩვენც სრულიად საკმარისნი ვართ ჩვენი ღჯახის-თვის.

რომელს. (დაცინვით). ოღონდაც, ოღონ-  
დაც! ჩვენ ჩვენი თავითვე კმაყოფილნი  
ვართ! სრული ჭეშმარიტება სთქვი (ტლან-  
ქად ბუხნერისას). იცით, ქალბატონო მარი-  
ამ, ჩვენი აატივცემული ღჯახის წევრნი,  
სმირად, სრულებით უცხო პირებთან, იქამ-  
დინ გაგულისებულან, რომ თმებით და ქოჩ-  
რებით ჟორევიათ ერთმანერთი... დედა  
სუფრას გლეჯავდა მაგიდაზე, მამა ბოთ-  
ლებს ამტვრევდა! სამხიარულო სანახავი  
იქნებოდა, განა? ოღონდაც, რომ სამხია-  
რულო სცენებია, სამხიარულო მთაბეჭ-  
დილებანი ბავშვებისათვის!

აგუსტა. დედამიწა უნდა გასძღვეს და  
შიგ ჩაგიტანოს მაგისთანა ურცხვი სიტყვე-  
ბისათვის, მე სამაგლო და ბოროტი!  
(სწრაფად გადის).

მინა მოლე. ხოდ დაინახეთ! აი ასეთს ყოფაში ვატარებ მთელ ჩემს სიცოცხლეს მრავალ ათის წლიდბით! (გადის აღელვებული):

რომელიც. (აგრძელებს მოურიდებლად თავის  
საუბარს). და არც საკვირველია ჩვენი ოჯა-  
ხის ასეთი ყოფა-ცხოვრება! ორმოცი წლის  
გაცი, ცოდნად ირთავს თქვენსმეტი წლის გვ-  
გონას და სადღაც სოროში აბინავებს სა-  
ცხოვრებლად! გაცი, რომელიც, ვითარება  
ცნობილი ექიმი, ჯერ ღსმალეთში მსახუ-  
რებდა, მერგ მთელი ჩინეთი მოიარა; გა-  
ცი ყოვლად განათლებული და დაწინაუ-  
რებული, დიად აზრებისა და სასიათის ბა-

ტრონი.—სამუდამოდ უპავშირდება ისეთს  
ქალს, რომელმაც მანამდე არც კი იცოდა,  
ამერიკა ლრინველია თუ ჩასაცმელი! მერ-  
წმუნეთ, ნამდვილს მოგაქსენებთ. მე არას  
ვიგონებ და არას ვაჭარბებ! აი, ასეთ ჭა-  
ღბულებულ აღვიზარდენით ჩვენა! თბები ყალყ-  
ულ გიდგება როცა დაფიქრდები ამაზე!  
რა თქმა უნდა, სიყვარულის ხსენებაც არ  
ყოფილა მათს შეუდლებაში. ურთი-ერთის  
გაგება და პატივისცემა სიზმრადაც არ  
მოსიზმრებიათ! აი ის ნიადაგი, რომელ-  
ზედაც ჩვენ აღვიზარდენით!

მართა ბურგერი. ბ-ნო რობერტ, უმორ-  
ნილესად გთხოვთ...

რობერცი. გეთილი! ბატონი ბრძანდებით,  
თუ გნებავთ გრინტსაც არ დავმრავ, ჩემ-  
თვის სულ ერთია (გ-დავა მარჯვნივ).

მართა ბურგერი. არა, მე სხვა რაზედმე  
უნდა მეტხოვნა თქვენთვის..

რობერცი. გეთხოვნათ? ჩემთვის?

მართა ბურგერი. ერთი სიკეთე მიყავით!  
მგ თქვენთვის არც ისე მნელი იქნება!..  
განა ვერ შესძლებთ რომ ამ ერთს საღა-  
მოს მაინც მოიხადოთ ებ თქვენი ნი-  
ღაბი!

რობერცი. საუცხვოა!.. ნიღაბი მოვისა-  
დო?

მართა ბურგერი. დიან, ნიღაბი, რად-  
გან დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ  
ყველას უმაღავო თქვენს ნამდვილ სა-  
ხე ს!

რობერცი. არ მესმის, რაებს მეუბნებით...

მართა ბურგერი. გემუდარებით, აღმის-  
რულეთ ეს თხოვნა.

რობერცი. სწორედ არ ვიცი... რა აზ-  
რია... რა გიბასუსოთ...

მართა ბურგერი. თუ ვინიცობაა, ვიღ-

ჰელმი.. ჩოშ იცით, რომ თქენ ძმას, ვიღელმს ყოველ წუთს მოელიან... და...

რობერტი. (აწყვეტილებს). ქ-ნო მარიამ, გარწმუნებთ, რომ თქვენი ცდა სრულებით ამაღა... ჩვენ ხომ ჩვენს ოჯახში რაღაც უბადრუები და უპილონი ვართ... უბადრუებიად დავიძადენით და უფრო უბადრუები გამოდგა ჩვენი აღზრდა-განათლება! ესლა ჩვენ კერაფერი გვიმველის რა!.. აქ ყოველისფერი გელიანად და მნიანად არის მოწყობილი: შობის ხე, წმინდა სანთლები, ნობათები, ოჯახის ყველა წევრთა ერთად თავმოყრა, მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ გარეგნობაა, ყოველივე ეს ნაძალადევი სათნაება, უშნო თვალთმაქ-ცობაა და სხვა არაფერი... მე რომ ვიღელმის მიუპარებელი ხასიათის ამბავი არ ვიცოდე, ღმერთს გეფიცებით, ასე ვიფიქრებდი, რომ თქვენ ჩააგონეთ ვიღელმს აქ ჩამოხვდა...

შარიამ მუსონესა. გარწმუნებთ, რომ სცდებით! მამა თქვენის უეცრივი მოსვლა სწორედ ღვთის განვებაა... აი ხწირედ ამიტომ გთხოვთ, რომ თქვენის ძმის ჩამოსვლას და თვითონ მასაც მოექცეთ ტბილად და შეგიბრულად. თქვენ რომ იცოდეთ, რა სიყვარულით და პატივისცემით გიხსენიებდათ ვიღელმი ყოველთვის!..

რობერტი. არ მესმის ხწირედ, რა მოსაზრებით უნდა მოვიქცე ასე ტბილად და მეგიბრულად?

შარიამ მუსონესა. მეგითხებით პიდეც.

რობერტი. ხწირედ გეკითხებით!

შარიამ მუსონესა. თუნდაც იმ მოსაზრებით, რომ არ ჩაუშსამდთ თქვენს ძმას, ამდენი წნის უნაშაობის შემდეგ, მშობლიურ ოჯახში დაბრუნების სიტკბოება!

რობერტფი. თქვენ ძლიერ სცდებით, თუ ფიქრდეთ, რომ ვილჲელმი დაინახავს თუ არა მშობლიურ კერას, მაშინათვე გრძნობიერებაში მოვა.

მარიამ მუხრანია. თქვენი ძმა მეტად პარგი ყმაწვილია და დიადაც პეთილშიდილი ყოველისფერში! რამდენი ბრძოლა გამოიარა, მინამ აյ ჩამოხვლას გადასწყვეტდა. გარწმუნებთ. რომ ვილჲელმი ოჯახში ბრუნდება მხოლოდ ერთის ნდომით გამსჭვალული: რომ ყველას შეურიგდეს!

რობერტფი. მე მაინც კიდევ ვერ გამიგია, თქვენ რაზედა ბრძანებთ, რომელ შერიგებაზე ამბობთ? რას ან ვის უნდა შეურიგდეს ვილჲელმი? ადვილი სათქმელია შერიგება, მაგრამ რაც მოხდა, იგი გონიერდან ასე ადვილად ვერ წარიჩოცება. ნუ თუ გგონიათ, რომ მე მამისადმი განსაკუთრებულ ბატივისცემას ვგრძნობდე? სულაც არა! ან იქნება გგონიათ სიყვარულის მოგონებანი მიზინლავდენ გულს?.. სამწერალოდ, არც ერთი ამ გრძნობათაგანი არ გამაჩნია; ჩვენს სანგრძლივ ცხრილები, ერთმანეთისათვის, სულ ბევრი რომ ვსთქვათ, არარა ვიყავით, ხოლო როცა ერთმანეთს რამემი ვამტყუნებდით, მაშინ გველდა კიდეც ერთმანეთი! ეს, ამ სიმძლვარემ განსაკუთრებით თავი იჩინა მამაჩვენსა და ვილჲელმის შორის!.. მე კარგად მესმის, რომ თუ მე თვითონ არ მოვახდინე ის, რაც ვილჲელმმა ჩაიდინა, ეგ მხოლოდ უბრალო შემთხვევას მიეწერება!.. მე ვილჲელმის წინააღმდეგ არა ძაქვს-რა, მხოლოდ, ერთი სხვლიოდ, არ უნდა ვწედავდე... შორი-შორს უნდა ვიყვნეთ ერთმანეთისაგან. მაგრამ თუ

შევხვდი, თუ ჩვენ ერთმანეთს გხვდებით, მაშინ ჩემი გონიერება და ძმიდა ტარტაროში ჩაინთქება ხდლებ; მის ახლოს დანახვაზე, მე რაღაც ბოდმა მაწვება, მაშინ... მე... უგეთ რომ მოგასსენოთ... ერთის სიტყვით, მაშინ მე გილჲელმში ვხედავ ისეთს კაცს, რომელმაც გაუბედა მაჩემს,—თავის მამას კი არა,—არა, ჩემს, მამაჩემს შეურაცხყოფა და სახემი გარტყმა!

შარიამ ბუსნერისა. ღჰ, ღმერთო ძლიერო!

რობერტი. მაშინ მე ვერაფერს ვერ გეტყვით და არც არას დავპირდები სხვას თუ ჩემს თავსაც...

შარიამ ბუსნერისა. ღმერთო ძლიერო! მაშინ, საქმე, თურმე, რა ყოფილა!.. თქვენ ამბობთ, საკუთარს დვიმლ მამას სახეში გაარტყმა!

რობერტი. ჰო-და, სწორედ მაგისტვის განშორდენ ერთმანეთს და ერთსა და იმავე ღრღს დასტოვეს ორთავემ საკუთარი დჯახი და ექვსი წელიწადი უგზა-უპვლოდ დახეტიალებდნენ ცხრა მთას იქით.

შარიამ ბუსნერისა. ღმერთო ჩემი! ღმერთო ძლიერო! მაშ თუ აგრეა, მე ეხლავე... ამ წამშივე უნდა მოგელაბარაკო მამა-თქვენს, თქვენს საბრალო, მოხუც მამას!

რობერტი. (ძრიელ შეშინებული). როგორა! ვისაც!?

შარიამ ბუსნერისა. (ცრემლით). თქვენს უნდებურს და შეურაცხყოფილ მოხუც მამას!

რობერტი. (უნდა შეაჩეროს). ღვთის გლო-სათვის! რაებს ამბობთ, ეგ რა აზრი მოგზვლიათ!?

შარიამ ბუსნერისა. თავი დამანებეთ! მე უთუდდ ასე უნდა მოვიქცე. უთუდდ უნ-

და მღველაპარაკვ. (გადის მაღლა სართულისკენ)

რომელფი. (უკან მისდევს). ქალბატონი მარიამ! (მობრუნდება). ვერა გავაგონე რა? თჲ, ეს წყეული სისუსტე! (მხრებს აიწევს და დადის დიდის ლაჯებით ოთახში. რამდენჯერმე განიზრახავს ბუხნერისას გაჰყვეს, მაგრამ შეჩერდება და ცდილობს რომ დამშვიდდეს, რისთვისაც ძალზე ეწევა თავის ჩიბუს; მერე ჩიბუს გამობერტყავს. ახალის თამბაქოთი გასტენავი, რომელიც ქისაში აქვს, მოუკადება და სრამოვნებით სწევს. ცოტა ხნის შემდეგ, მისი ყურადღება მიეპყრობა შობის ხეს და ნობათებს, რომელნიც მაგიდაზე არიან დაწყობილნი. იგი ფეხ-გალაჯული შეჰყურებს შობის ხეს, თან ეწევა ჩიბუს და ბოლოს რამდენჯერმე მწარედ გაიცინებს. ერთბაშად უსდგება, დარცხვება, თავს მაგიდაზე დახრცს და შეჰყურებს ნობათებს. ცოტა ხნის შემდეგ გაიმართება, თავს აიწევს და ეხლა-ლა-ლა დაინახავს რომ მარტოა. შიშით აქეთიქით იმზირება, მერე ერთბაშად მიპარვით აილებს მაგიდაზე გაშლილ ყვითელს ქისას, სწრაფად მიიტანს ტუჩებთან და ეშხით ჰკოცნის. დაეტყობა ღრმა გრძნობიერება, მაგრამ მოჩვენებული ხმაურობა გამოაფხიზლებს). იდა! რა ლამაზი სახელია! თითონაც რა კეთილია, რა მომხიბლავია! (ჰკოცნის ქისას). ნუ თუ მართლა სჯერათ, რომ ამ ოჯახში სიყვარულსა და სიმშვიდეს დაამყარებენ? ყოველივე ეს ნეტა რადა მწყინს და რად მაჯავრებს!.. (კარების უკან ხვაურობა შეაშინებს. მერე ისევ ქისას მაგიდაზე დასდებს და თვითონ ფეხ აკრებით ჩუმად გასვლას აპირებს მარცხენა კარებში. მაგრამ ამ დროს შეამჩნევს დედას, რომელიც ამავ კარებიდან გამოდის).

## XII

რომელფი. ერთი გითხარ, დედა ჩემი, ნეტა რა უნდა მარიაშ ბუნერისას?

მინა შოლვისა. ღმერთო ჩემი, რა რიგ შემაშინე!

რომელფი. ნეტა ვიცოდე, ამ ბუნერის ქვრივს რა უნდა ჩვენგან?

მინა შოლვისა. მე კი ნეტა ეს გამაგებინა, რა უნდა აქ მამაშენს?

რომელფი. თავშესაჭარს წომ ვერ დაუკერ!

მინა შოლვისა. (ცრემლებით). ვითომ რატომაც! რამდენი ზანია მე იმისთვის საჭირო არ ვიყავი. მე თვითონ ჩემი თავის ბატონ-პატრონი ვიყავი. ეხლა კი ყველაფერი აირევა. ისევ უნდა დავიწყო ამ სიბერის დროს ბრძანებლოდისა, გაანჩხლებისა და ყვირილის ქვეშ ცხოვრება!

რომელფი. უთუთდ უნდა ყველაფერი გადააჭარბო!

მინა შოლვისა. აი ნახავ თუ ზვალიდან არ დაიწყოს! (ჩაჯდება მაგიდასთან). მარტო ერთი იმისი ყვირილი რადა ღირს! ეს გამუდმებული ყვირილი! მე უპვე მაერგოლებს ტანში!.. ღმერთო, რა ძნელია ამ ქვეყნად ცხოვრება!

რომელფი. (რომელსაც წასვლა დაეპირებონა და დედის ლაპარაკს ყურს არ უგდებდა, სწრ ფად მიბრუნდება, ოდნავ მოეხვევა და ჩურჩულით ეუბნება). დედილო, განა ყოფილა როდის-მე ისეთი დრო, რომ ჩვენ უპათ გვეცხოვრნა!?

მინა შოლვისა. აბა, რა თქმა უნდა ყვილა!..

რომელფი. (ხარხარით). მართლა? ალბად ებჩებს გაჩენამდე თუ იყო! (გადის მარცხნივ კარებში).

მინა შოლცისა. (ამოოხვრით). დიახ, ეს დი-  
დი ზნის ამბავია! (გაიგებს ქმრის ხმას, შე-  
წუხდება. ზევით იხედება. კრძალვით ყურს უგ-  
დებს). აი, დაიწყო გიდეც! (დაძმარებული გა-  
დის).

(შემოვლენ იდა და ვილჰელმი).

### XIII

(იდა და ვილჰელმი შემოვლენ შუშ ბანდის კარე-  
ბილან: ვილჰელმი შუატანისაა, ლონიერი და მა-  
გარი აგებულობისა, თმა შოკლედ აქვს მოკრე-  
ჭილი. კარგად შეკერილი ტანთსაცმელი აც-  
ვია. პალტო, შლაპა, პატარა სამგზავრო ჩემო-  
ლანი მარჯვენა ხელში უჭირავს, მარცხენა ხე-  
ლი იდას მხრზე დაუდგია. იდა მოხვევია მარ-  
ჯვენა ხელით და წინ ეწევა. ვილჰელმი თითქოს  
ეწინააღმდეგება).

იდა. შემოხველ გიდეც სახლში, უგვე აქა  
ხარ . ბირველი მძიმე ნაბიჯი შევე ბა-  
დადგი.

ვილჰელმი. (ამოოხვრით). ჯერ სადა ვარ!

იდა. გარწმუნებ, რომ დედა შენი მრიელ  
მოხარულია; ავგუსტაც წარობს. (გააძრობს  
ხელთათმანებს).

ვილჰელმი. შენ ეს მითხარი, რა შთაბეჭ-  
დილება გამოიტანე აქაურებისაგან- რა  
წალხია?..

იდა. გულდია წალხია. მე რომ მეგითხე-  
ბი, განა შენ არ იცი?

ვილჰელმი. (თანდათან უფრო კრთება, თითქოს  
თავის თავს ელაპარაკებაო და სიტყვებს აპრტ-  
ჟელებს). წაოცარია! (დაინახავს შობის ხეს  
და ფიქრში წავა).

იდა. (ალექსონ). ჩემი გარგო, შენ ისე  
გაშტერებით შეჰყურებ, თითქოს ბირვე-  
ლად ხედავ შობის ხეს.

ვილჰელმი. გინახავს შენ როდისმე... იდა,

გინაზავს როდისმე ამოთხრილი სამარე ყვავილებით და გვირგვინებით შემგული?..

იდა. (შემკრთალი). რაებს ჰქონდავ, ვილ-ჰელმ? (სწრაფად მოეცვევა). ეგეთი სიტყვები დიდი, დიდი ცადოა შენის მსრივ!

ვილჰელმი. (ჩუმად და ნელა მოიშორებს). მე იმას ვამბობ, რასაც ვგრძნობ! (ციფად). დამშვიდდი, იდა!

იდა. რა უცნაური რამა წარ დღესა.

ვილჰელმი. (ათვ-ლიერებს დარბაზს). სულ ყველაფერი უწინდებურადაა! იდა, შენ დიდ ღირსებად უნდა ჩამითვალო, რომ მე...

იდა. ვილი, მემინიან! რა გემართება? დედამ არ იცოდა, რომ ასე გაგიძნელდებოდა, თორემ... მე... მე კი არ მინდოდა ეგა... მაგრამ ეხლა, როდესაც უპვე მოწველ, იყავ გულ-კეთილი და სათნაიანი... ჩემი გულისთვის მაინც იყავ! (ეხვევა).

ვილჰელმი. (თითონაც მოეცვევა იდას მღელვარებით). ოჟ, რამდენი რამ გამომივლია აქა?

იდა. რამე უწევნიათ შენთვის აქა?

ვილჰელმი. აი რას გეტყვი: ეხლა ჩემთვის ყველივე მეტად ცხადია... დედაშენს არ უნდა ერჩია ჩემთვის... მე ეგ წინადაც ვიცოდი... მე უთხარი კიდეც დედაშენს... მაგრამ არ დამიჯერა... ნეტავი სიტყვა არ მიმეცა და არ ავყოლოდი დედიშენის რჩევას!

იდა. ღმერთო, რა მწარედ, რა შავად წე-დავ ყველაფერს... მერწმუნე, წვალ, როცა ყველას ნახავ, სულ სხვა გუნებაზე შეიქნები. სხვა არა იყოს რა, ამით შენ და-ამტკიცებ, რომ გულწრფელად გინდოდა შერიგებოდი შენს საკუთარ ღჯახს...

ვილჰელმი. როცა ყველაფერს წელაწლად ვხედავ, მყისვე წარმომიდგება წლობე

წარსული თავის სიმწარით. ასე მგონია, წარსული თვითონ მოდის ჩემკენ, მიახლოვდება და თან მეზვევა ყველა თავის მწარე მოგონებით და გამოუთქმელის ტანჯვით! მე უძლური ვარ მოვიმორო იგი; განვთავისუფლდე მისი მოგონებისაგან!

ღდა. (ცრემლ მორეული ეხვევა). ჟე გშლი მტკივა, ვილჭელმ, როცა შენ ასეთს უბედურს შემოგყურებ!

ვილჭელმი. იდა, მერწმუნე, ბევრად უბჯობესი იქნებოდა, რომ გავეცალო აქაურობას. ვერ ავიტან ამდენ მთაბეჭდილებას! შენ ჯერ ბავშვი ხარ, იდა, უმანგო, წმინდა ბავშვი! შენ ჯერ არა იცირა! ღმერთს მადლობა შესწირე, რომ არც კი იცი, ეჭვიც არა გაქვს, თუ რა კაცი სდგას შენს წინაშე... მარტო შენ გამოგიტყდები, თუ რამდენი ბოდმა და გესლი, რამდენი შხამი და სიმძულვარე ამეშალა აქ ფეხის შემოდგმით!

ღდა. თუ გინდა წავიდეთ, ეხლავე წავიდეთ! მე თან და თან შიში მიბყრობს! მე-შინიან რომ შენ არ დაგპარგო... სწორედ დამნაშავე ვარ, რომ არ დაგიშალე აქ ჩამოსვლა. ვილჭელმ, ეჭვი არ არის, რომ აქ რაღაც უბედურება და საზარელი რამ მომხდარა!..

ვილჭელმი. შენ ამბობ საზარელიო?!

დიახ, აქ საშინელი ბოროტება მოხდა და ეს ბოროტება მით უფრო საზაროა, რომ მისი გაქარწყლება შეუძლებელია! აქ მომანიჭეს სიცოცხლე და აქვე გამუდმებით მიშსამავდნენ ამ სიცოცხლეს! შენთან დასამალი მე არა მაქვს რა. ისეთის ძალმომრეობით, იმ ზომამდინ მიშსამავდნენ სიცოცხლეს, სანამ ეგ სიცოცხლე ჩემთვის არ შეიქმნა აუტანელ ტვირთად, რომლის

ზიდვა არ შემეძლოდ და ამიტომ ყოველ ღთნისმიებას ვხმარობდი, რომ შემძვრალ-ვიყავ რომელიმე თვალთ უხილავ ხორმი და სადმე სამუდამოდ დაგმალულ-დავგარგულგიყავი!.. ვერა, სიტყვებსაც ვერ ვპოულდი, იმის გამოსათქმელად, თუ რა ტანჯვა-ვაება გამოვიარე აქა! შე-რი და მტრობა, სიმძულვარე, სიბრაზე, სასოწარკვეთილება, სინანული... ერთს წუთსაც არ მომისვენია .. მთელი დღე და ღამე გამუდმებით ასეთის საშინელის და საზარელის ტკივილის (შუბლზე უჩვენებს). ატანა აქ (გულზე), და აქაც, ადამიანს არ ძალუმს! (დაქანცული და აღელვებული დაეშვება სკამზე).

იდა. რადა ვქნა ვილჟელმ, რა მოგითიქ-რო! მე არც კი ვიცი, რა გითხრა, რა გირ-ჩიო! (შემოდის ბუჩნერისა).

#### XIV

მარ. მუხრანტისა. (სწრაფად შემოდის და მივა ვილჟელმთან). ვილჟელმ, გამიგონეთ, ყური დამიგდეთ. იფიქრეთ იმაზე, რაზედაც გე-უბნებოდით! ესლა დროა, თუ კი ოდნავ ჩემი ბატივისცემა გაქვთ, გევედრებით და-ამტკიცოთ, რომ მართლაც და კეთილი ხართ... მე გთხოვთ ამას, როგორც დედა, როგორც თქვენი მოგეთე... ესლა ყველა-ფერი თქვენზეა დამდგიდებული! ვილ-ჟელმ, თქვენ საზარელი საქმე ჩაგიდგნიათ, თქვენი სინიდისი დამძიმებული უნდა იყოს ამ საშინელის ცოდოთი... ეს-ლა შემთხვევა გაქვთ მოიშოროთ ყოველი-ვე, განსპეტაგდეთ! მე ყველაფერი მოვა-ხერხე... მე მამა თქვენთან ვიღაპარაკე!..

ვილჟელმი. (წელში გაიმართება, განცვიფრებული). მა-მასთან! როგორ? მა-მა ჩემ-თან?!

(გაექანება კარებისაკენ და თან თავისი პალტო და ჭული მიაქვს).

იდა. (შეშინებული). დედაგ, ეგ რა ჰქენი? ვილი, ვილი!

შარიამ ბუზნერისა. ვილჲელმ, წომ ვაჟგაცი წართ! დავიჯერო რომ ჩვენს მოტყუილებას შესძლებო? არა, არა! თუ თქვენმი იდევ იდასადმი ღდნავ სიყვარული ღვივის...

იდა. (მივარდება ვილჲელმს, მოერვევა და არ უშვებს). არა, შენ არ წახვალ! შენ არ უნდა წახვიდე! დედაგ, თუ ვილი წავა—იცოდე, მეც გაგებები!

ვილჲელმი. რად მიმალავდით, რომ მამა აქ იყო!?

იდა. ჩვენ არაფერი არ დაგვიმალავს შენთვის!

შარიამ ბუზნერისა. არც მე, არც იდამ, არც თქვენმა დედამ და დამ, არა ვიცოდით-რა! არავინ არ მოელოდა მის მოსვლას... ეს არის, თქვენი მოსვლის წინედ, სრულებით მოულოდნელად შემოვიდა..

ვილჲელმი. მერე თქვენ საიდან იცით, თუ რა იყო ჩვენ შორის?

შარიამ ბუზნერისა. მე ყველაფერი ვიცი... ვიცი, რა დიდი სევდა გაწევთ გულზე...

ვილჲელმი. მაშ თქვენ იცით, რონ მე!..

შარიამ ბუზნერისა. (თავს დაუქნევს დასტურის ნიშნად). ვილჲელმი. იდამ გი იცის? ნუ თუ იდამ თავი უნდა შესწიროს იმისთანა გაცს, რომელმაც ხელი... არა, არა, ეგ შეუძლებელია!.. იდა, შენ იცი რამე თუ არა?!

იდა. არა, მე არავიცი-რა! და რაც უნდა იყოს, ჩემი ცოდნა—თუ არ ცოდნა აქ არა-ფერ შუაშია. მე შენი ვიქნები სამარა-დისოდ!

ვილჲელმი. მაშ შენ არათერი არ იცი? მაშ არ იცი, რომ ეს ხელები, რომელნიც შენ გეხვევდნენ... აი, ეს ხელები... ღჰ, რა საძაგლად მოგატყუილე, იდა!?. არა, მე არ შემიძლიან იმასთან შეხვედრა!..

მარიამ ბერძრისა. ვილჲელმ, მე მესმის თუ რა ძნელია თქვენთვის იმის აღსრულება, რასაც მე ეხლა გთხოვთ, მაგრამ, მერწმუნეთ, ეგ უფრო თქვენი სინიდისის დასამშვიდებელი იქნება!.. თქვენ ქედი უნდა მოიხაროთ საბრალო მამათქვენთან. ემუდარეთ და ევედრეთ მას... ფეხ-ქვეშ უნდა ჩაუვარდეთ და მუხლები დაუკიცნოთ... ფეხითაც რომ გაგთელოთ მაინც... ნურათერს ნუ ეტყვით... დაემორჩილეთ! დამიჯერეთ, ამას მხოლოდ თქენი ზიყვარული მალაპარაკებს და მარჩევინებს თქვენთვის!..

ვილჲელმი. (სასოწარკვეთილი). თქვენ არ იცით ალბად, სულაც არ იცით, რასაც ითხოვთ ჩემგან, თორემ ცოტათი მაინც შემიბრალებდით! რომ იცოდეთ, თუ რა გამოვიარე ამ სახლში, რა ტანჯვა-წამება, რა გამოუთქმელი სასტიკი ბრძოლა, რა სინიდისის ქენჯნა!.. და ყოველივე ესა მწვდა სულ მამაჩემის აუტანელის ხასიათის წყალობით; სულ იმის სიკერპით! მამაჩემს ერთხელაც არ ჩაუხედნია თავის შვილების სულსა და გულში, ერთხელაც არ გაუგია თავისი ცოლის სულის ობლობა! მაგრამ... არა, არა; მე ვეცდები ადამ მოვიგონო წარსული... მე ბატგანისავით მორჩილი ვიქნები... დიახ, ყველაფერში მე ვარ დამნაშავე, მარტო მე! (დაეშვება სკამზე). თქვენი ნება იყოს, მე ვნახამ მამას.

## მოქმედება მეორე.

ფარდის ახდის დროს დარბაზი სრულებით ცარიელია, სცენაზე ბნელა და სინათლე შემოდის მარცხენა კარიღან, საიდანაც მოისმის დანა-ჩან-გლების და თეფშების ჩხარა-ჩხური. იმავე კარე-ბიღან გამოდის ჯერ იდა და მერე ვილჭელმი.

### I

იდა. წუ გამიწყრები, ვილჭელმ, მაგრამ მამასთან რაც სათქმელი გაქვს .. აქ ხომ არ მოუცდი მთელი ღამე?.. შენ თითონ ადი მის სანახავად!

ვილჭელმი. მამა ძირს კი უნდა ჩამოსულიყო?

იდა. რა თქმა უნდა, დედა რამდენსა სთხოვდა..

ვილჭელმი. (მოეხვევა და გულზედ მიიკრავს). ჩემი კარგი!

იდა. ვაიმე თმები! რა შეუბოვარი რამა ხარ, ყმაწვილო, უეცრად რომ ვინმე შემოგვსწრებოდა! განა იქნება ასეთი წინდაუხედაობა!

ვილჭელმი. (ერთბაშად გონს მოვა და მოშორდება). შენ ამბობ წინ დაუხედავიღ... მგ წინდაუხედაობა კი არა, უარესია!..

იდა. კიდევ დაიწყე წუწუნი?

ვილჭელმი. (ხელს მოჰკვევს წელზე იდას და დაღის მასთან ოთახში). სწორედ მართალი სთქვი, მე შეუბოვარი და წინდაუხედავი კაცი ვარ!.. მეშინიან, იდა, რომ შენმა ცდამ ამაღდ არ ჩაიარღს? მე ხომ დაუდგომელი და მოუსვენარი კაცი ვარ... მგ

თითონ მეშინიან ჩემის თავისა! აბა წარ-  
მდიდგინე ისეთი კაცი, რომელიც თავის  
თავს გაურბის და ემალება.

იდა. მე კი ასე მგონია, ნუ გეწყინება  
კია, რომ შენ არც გასაქცევი რამე გჭირს  
და არც დასამალი!

ვიღჰელმი. არა, შენა სცდები, ჩემო იდა.  
რობერტს დაჲპვირვებიხარ?.. შეამჩნიე  
რამე?..

იდა. რა? მე არა შემიმჩნევია რა!

ვიღჰელმი. შეამჩნიე თუ არა, როგორ მო-  
მესალმა? აი, რობერტმა კარგად იცის,  
რომ მე ჩემს თავს უნდა გავექცე. რობერ-  
ტი მე კარგად მიცნობს... შენ რობერტს  
ჰქიოთხე და ის ყველაფერს გაგაგებინებს...  
შენ დააკვირდი რობერტს, თუ რა თვა-  
ლით შემყურებს ხანდისხან... იმას ჩემი  
დაშინება უნდა!.. ხა! ხა! ხა! არა, ჩემო  
საყვარელო ძმაო. მე ჯერ არც ისეთი  
უბადრუკი ვარ! ეხლა, იდა, შენც გაიგებ  
რად არა მსურს, რომ შენ ჩემზე უკეთე-  
სის აზრისა იყო, ვიდრე ნამდვილად მე  
ვარ... მე შენთან გულახდილი ვიქნები,  
დასამალი არაფერი არ უნდა მქონდეს...  
როცა შენ კარგად გამიცნობ და მაინც შე-  
გემლება ჩემთან ყოფნა და არც შეგძულ-  
დები... მაშინ მე ხელახლად დავიბადები,  
ხელახლად შევიმდესები ძალ-დღნით, გრძნო-  
ბა-გონებით!.. დაე ყველაშ ზურგი მაჩვე-  
ნოს, მე მაინც მტკიცე ვიქნები, რადგან  
მეცოდინება, რომ ქვეყნად არის ერთი  
არსება მაინც, რომელიც...

იდა. (გულზე მიეკრობა, თითქოს უნდა დაუმ-  
ტკიცოს თავისი ერთგულება).

ვიღჰელმი. ეხლა, ეხლა-კი, სანამ მამას-  
თან ავიდოდე, მინდა ერთი რამ გიამბო...  
შენ, ალბად, მისვედრილი ზარ, რაზე გეშ-  
ბნები!

ღდა. (თანხმობით თავს უქნევს).

ვილჰელმი. შენ ეხლა უნდა გაიგო, — მე ვა-  
იძულებ ჩემს თავს გიამბო, თუ რა მიზე-  
ზით განვშორდით ჩვენ, მე და მამაჩემი  
ურთმანეთსა... დიახ, იდა, მე უნდა გი-  
ამბო... (დადის ოთახში. იდასთვის წელზე ხე-  
ლი აჭვს შემოაცეული). წარმოიდგინე, ერთ-  
ხელ ჩამოველ სახლში საზაფხულოდ...  
ვერა, მე რიგზე ვერ დავიწყე... მე ცოტა  
შორიდან უნა დავიწყო... შენ ხომ იცი,  
რომ მრავალ წელთა განმავლობაში იძუ-  
ლებული ვიყავი ჩემის შრომით მეცხვირ-  
ნა.. მე ხომ ამაზე არაფერი მითქვამს შენ-  
თვის?

ღდა. არა, არა გითქვამს რა, მაგრამ, გე-  
თაყვა, მრიელ ნუ აღელდები!..

ვილჰელმი. (იდას დასვამს სავარელზე მარცე-  
ნა მხარეს). იცი, ეს ისეთი საქმეა, რომ...  
უნდა გამოგიტყდე, რომ მე ჯერაც ვერ  
გამიძედნია ჩემი წარსულის ამბავი მოგი-  
თხოვ... და არც გასამტყუნარი ვარ... ეს  
ამბავი ისეთია, რომ თავის თავსაც ვერ  
გაუმნელს კაცი... ეჲ, სულ ერთია — ვიტ-  
ყვი!.. თუ შენთან ვერ გავძედავ ამის  
თქმას, მაშინ მამაჩემთან როგორ-და შევ-  
ძლებ ასვლას!

ღდა. ნუდარ იგონებ წარსულს!.. შენ უი-  
მისდაც ძალზე აღელვებული ხარ!

ვილჰელმი. შენ პი გეშინიან, .. რა თქმა  
უნდა, მეგემინდება, როცა ისეთ რასმე გა-  
იგებ, რომ...

ღდა. ნუ ამბობ ეგრე!

ვალჰალმი. მაშ ყური მიგდე... მამა ყოველ-  
თვის წემო სართულში სცხოვრობდა. სა-  
ნამ დედაჩემს შეირთავდა, სიყმაწვილეში,  
სულ მარტოდ სცხოვრობდა, თურმე, და  
ცოლის შერთვის შემდეგაც, ისეგ ძვალე-

ბური მარტოდა ირჩია... მერე, ერთხელ, როგორდაც, ჩვენც მოვაგონდით და რობერტისა და ჩემი გაწვრთნა მოინდომა. ავგუსტას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა... დღეში ათი საათობით წიგნებს არ მოგვაშორებდა ხოლმე... მე, თითქოს, ეხლაც ცხადლივ ვხედავ იმ ათასს, რომელიც ჩვენ საპყრობილედ მიგვაჩნდა... ხომ გინახავს ზემოდ მამის სამუშაო ფთახთან...

იდა, დიან, დიდი დარბაზი!

ვილჰელმი. ჰო, სწორედ, ისა! შევიდოდით თუ არა იმ ათასში, ჩვენთვის მზეც ადარ იყო და დღე ნათელიც! აი ასეთ ყოფაში ჩაყენებულნი, ჩვენ უფრო დედას ვეტანებოდით... მამისაგან კი გავრბოდით... რა თქმა უნდა, ამის გამო წმირი უსიამოვნება იყო ხოლმე დედმამის შორის. დედა ერთ ხელზე გვეწეოდა, მამა კი მეორეზე... წმირად საქმე იქამდინ მისულა ხოლმე, რომ მოსამსახურე ფრიბეს ძალად ავყავდით მამასთან!.. ბოლოს, ბევრი ჭაბანწყვეტის შემდეგ, საქმე იქამდინ მივიდა, რომ მამამ ართავე შვილებს მიწს ჩაგვიძანა კიბეებზე კინწის კვრით... დანახვაც ვედარ შეეძლო ჩვენი და ბრაზი მოსდიოდა ჩვენს წმას რომ მოჰკრავდა ყურს!

იდა. რამ უნდა იყოს მამა თქვენს კეთილი აზრი ჰქონია—შვილები აღეზარდა და რაიმე ესწავლებინა...

ვილჰელმი. მართალია, ეგ აზრი ჰქონდა, სანამ ჩვენ ბატარები—ბავშვები ვიყავით. ათის წლისანი რომ შევიქენით, მისი პეთილი განზრახვა სადღაც გაქარწყლდა. წარმოიდგინე, დედის კამოსაჯავრებლად, მამამ სრულებით მიგვანება თავი და ჩვენ

უბატორონდ ვიზრდებიდით!.. ჩვენ რა-  
ღაც ავაზაკებს და ქურდ-ბატაცებს დაგე-  
მსგავსენით... მე კიდევ იმან მისსნა, რომ  
მუსიკას მოვკიდე წელი... რობერტი გი  
სრულებით უმწეო იყო... იმ ზანებში ჩვენ  
იძღენი რამე ავი დი ცუდი შევითვისეთ,  
რომელსაც იქნება საფლავის გარგბაძედეც  
ვერ მოვიმდრებთ!.. ბოლოს მამამ, ხინი-  
დისმა თუ დასტანჯა, გადასწყვიტა ჩვენი  
მორჯულება და დრნივე დაწურულ ბან-  
ხიონში ჩაგვაბარა... როცა, თავისუფლე-  
ბას და ლაღიბას დაჩვეული, ვერ შევე-  
თვისე პანსიონის წეს-რიგს და ერთს  
მშვენიერ საღამოს გამოვიპარე პანსიო-  
ნიდან, მამამ დამიჭირა, დამსაჯა და ქა-  
ლაქ გამბურგში ამომაყოფინა თავი, რათა  
იქიდან ამერიკაში გაეგზავნა თავისი უგარ-  
გისი და არამზადა შვილი, მაგრამ არამ-  
ზადა ისევ გაიქცა და ეხლა გი სამუდა-  
მოდ... მე არ შეუშინდი შიმშილ-გაჭირვე-  
ბას და შევუდექი ცხვრების გზის გაგა-  
ფვას... რობერტიც ეგრე მოიქცა, მაგრამ  
მამის თვალში ჩვენ ისევ არამზადები ვი-  
ყავით... ერთხელ, როცა ჩემმა მუსიკის  
უნარმა თავი იჩინა და მე ქონსერვატო-  
რიაში მიმიღეს, მამაჩემს მოვთხოვე შემ-  
წევბა, წელის გამართვა, ბასუხად ღია  
წერილი მომიგიდა, რომელშიაც ორი სი-  
ტყვა ეწერა: «ხარაზობა შეისწავლე!..» ასე  
და ამ გვარად, იდა, ჩვენ ჩვენის მეცა-  
დინებით და გარჯით, შეგქმენით ჩვენი  
ყდოთა; თუმცა, მართალი რომ ვთქვათ,  
მაინც და მაინც საქებური არა გვაქვს-  
რა.

იდ. საბრალო, ვილი, რამდენი ტანჯვა  
გამოგივლია!.. ეხლა ყოველისფერი მესმის  
და თანაგიგრძნობ კიდევ. წომ გჯერა ჩე-  
მი სიტყვა? იცი, მე ეხლა ისე აღტაცებუ-

ლი ვარ, ისე რომ... გამოგიტყდები და-  
გეტყვი, ძრიელ მისარიან, რომ შენ ეხლა-  
სიყვარული გეჭირვება დარღების დასა-  
შემებლად... მერე როგორ მეყვარები, ვი-  
ლი! ეხლა მე თითქოს თვალები გამეზი-  
ლა. მე ეხლა მესმის ჩემი ცხოვრების სა-  
განი... რაც უფრო მებრალები, ვილი, მით-  
უფრო მიყვარხარ და მიჩარიან! ხომ გა-  
იგე, რის თქმაც მინდა—მე განვიზრახე  
ყველა ის უსიამოვნება და უბედურება და-  
გავიწყებინდ ჩემის სიყვარულით, რაც შენ  
გამდგივლია!

ვილკლმი. თუ კი ღირსი ვარ შენის სი-  
ყვარულისა... დამაცა, დამათავებინე ჩემი  
საუბარი... მას შემდეგ, რაც გამოვიქმე-  
მშობლიურ ჭერიდან, დრო-გამოშვებით  
დედის სანახავად ჩამოვდიოდი სახლში-  
და ადვილად წარმოიდგენ, თუ რამდენ-  
უსიამოვნებას ვგრძნობდი, როცა წელ-აწ-  
ლა ვჩედავდი ყოველივე მველებურს ჩვენს-  
ოჯახში.

იდა. დედა შენი, ალბად, ძრიელ იტან-  
ჯებოდა?

ვილკლმი. ისე იტანჯებოდა, ისე იდაგე-  
ბოდა, რომ მე განვიზრახე დედმამა სამუ-  
დამოდ გაყრილიყვნენ... რა თქმა უნდა,  
დედა უარზე იდგა, ან იმდენი ძალ-ღონე-  
სად მოებოვებოდა!..

იდა. ვილი, ხომ არ აზვიადებ მამის და-  
ნაშაულს?

ვილკლმი. (ყურს არ უგდებს). ერთხელ, რა-  
ღაც სულელობა მომივიდა და ჩემი ამხანა-  
გი ჩამოვიყვანე. ისიც მემუსიკე იყო. დე-  
დას ძრიელ გაუხარდა... მთელი ერთის-  
პვირის განმავლობაში სულ ბიანინფზე  
ვუგრავდით, ხან მე და ხან დედა და ჩემი-  
ამხანაგი... ოჟ, ეხლაც თმა მებურძგნება,

რომ მოვიგდნები.. შენ ეგ შეუძლებლად გეჩვენება, მაგრამ რასაც გეტყვი, ისე სწორეა, როგორც ესლა შე შენს წინაშე ვდგევარ! არავითარი საბუთი არ იყო, არავითარი ეჭვის მიზეზი, მაგრამ ერთის კვირის შემდეგ მოსამსახურენი ლამის პირში ეუბნებოდნენ დედაჩემს...

იდა. არ მესმის რას ლაპარაკდ! ვის ან რას ეუბნებოდნენ?

ვილჲელმი. იმასა რომ... რომ... ვითომც დედა... რომ დედაჩემი—არა, შენ წარმოიდგინე ღღღღღ!.. ისინი ამბობდნენ, რომ დედაჩემი ვითომც დაუკავშირდა... ვითომ ჰყვარდდა იმ ჩემს ამზანაგს!.. მე მაშინათვე მოახლეს წამოვავლე წელი და პასუხი მოვსთხოვე. მოახლემ მეჯინიბეზე მიძითითა—მე მეჯინიბეს მივარდი—მეჯინიბე პი წარბ-შეუსრელად მეუბნება, რომ ეგ ამბავი თვითონ ბატონისაგან გავიგდნეო... რა თქმა უნდა, მე არ დავიჯერე ესეთი ცილის წამება, ან როგორ დამეჯერა, ან რა დასაჯერებელი იყო!.. მაგრამ ერთხელ, სრულებით უცაბედად, საჯინიბოში ყური მოვგარ მამაჩემისა და მეჯინიბის საუბარს. იდა, დამიჯერებ თუ არა, რომ გითხრა... როდესაც მამა დედაჩებზე ლაპარაკობდა მეჯინიბესთან, თითქოს თავზე ცა დამატყდა, ისე გავისრისე...

იდა. ღვთის გულისათვის, ვილი, აგრენუ ღელაგ, ნუ კანკალებ!

ვილჲელმი. კაცმა ის უნდა გაშოსცადოს, რაც მე გამოვცადე, რომ გაიგოს ესა!.., ჩემს ქვეშ თითქოს ქვესპნელი გაიღვ და შიგ მთამთქაო!.. მე რაღაც საზარელსა და საშინელს მდგრმარეობაში ვიყავი და ეხლაც პი ვერ მომისაზრებია, თუ როგორ გაგჩნდი მამაჩემის ღთახში. მე დავინახე მამა, რაღაცას საქმობდა, კარგად არ მახ-

სოვხ... მიგარდი მამას... და აი ამ ხელგ-ბით ვცემე და გავთელე იგი, როგორც ძაღლი! (ძლივს და სდგას. ფეხებზე).

იდა. (აღელვებული და შეშინებული შეჰყუ-რებს ვილკელმს და მერე აკოცებს შუბლზე).

ჯილპილმა. რა სულმნათი წარ, იდა? ეწლა პი, თუ გადავსწყვიტე, ყოყმანი ვერას მი-შველის! (სასაღილო ოთახიდან მოისმრს ხმაუ-რობა სუფრის მომზადებისა. ზემოდან კი შოლ-ცის ხმა... «თუ საღილობაა, მაშ ვისაღილოთ!»)

ჯილპილმა. (გაოცებული ყურს უგდებს). იდა, შენ და დედაშენს რადაც საკვირველება მოგიხდენიათ აქა! (ერთმანეთს სიყვარულით შეხედავენ, ვილკელმი ხელს ჩამოართმევს მაღ-ლობის ნიშნად—იდა მიღის სასაღილო ოთახი-საკენ, მერე ერთბაშად მობრუნდება და ეტ-ყვას).

იდა. მხნედ იყავ, ვილი! ყოჩაღად! (გა-დის. ამავე დროს კიბეზე გამოჩნდება ექიმი შოლცი და ფრიბე).

## II

შოლცი. (კიბეზე). სისულეელეა, ფრიბე. ბარჯვენა წელით ნუ მიჭერ! თავი დამა-ნებე-მეთქი! მომშორდი, ეშმაგს შენი თავი! ჯილპილმი. (თან და თან ღელდება. ფერი ეც-ვლება, თავზე ხელს მოისვამს, მძიმედ ოხრავს. იგი უკვე გაქცევას აპირებს, მაგრამ მამის დანახვა ერთს აღილას გააქვავებს. ხელს წავ-ლებს სკამს და აგრე გაშტერებული გაჩერდება, თან აკანკალებს და ათროვლებს. მამა კი წელ-ში გაიმართება და შვილს გაზომავს თვალით, ჯერ შიში იხატება მის თვალებში, მერე სიმ-ძულვარე და ზიზლი. სრული სიჩუმე ჩამოვარ-დება. ფრიბე შიშით გაიპარება სამზარეულოში; ვილკელმი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ თავი დასძლიოს. რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ ყელი

უშრება და უხმოდ ჩურჩულებს რაღაცას. წელს დაანებებს სკამს და ბარბაცით და გაუბე-დავად მიდის მამისკენ. შექერდება, კიდევ აპირებს ჩმის ამოღებას, მაგრამ ამაოდ—ვერ გასძლებს და მუხლებზე დაეშვება მამის წინ და ხელებს ვეღრებით აღაპყრობს. მამის გამომეტყველება გაპოლება: სიმძლვარე გამოეცვლება გაო-ცებაზე, ზიზღი—შეგნებაზე და შებრალებაზე).

შოლცი. ჩემო ბიჭიკო!.. ჩემო კარგო ბი-ჭიკო! ჩემო... (მოპირდებს ხელს და აყვანა უნდა). წამოდექ, წამოდექ-მეთქი! (ორივე ხელებს მოპირდებს ვილჭელმს თავზედ და თავის-კენ მიზიდავს).

ჯილპილმი. (ცდილობს ხმის ამოღებას, მაგრამ არ ძალუძს).

შოლცი. (აკანკალებულის ხმით). რაო... რაო... რას ამბობ? განს მოდი... დამშვიდდი!..

ჯილპილმი. მა... მამავ... მე...

შოლცი. (ცკბილად). აბა, სთქვი... სთქვი რაც გინდა! რა უნდა გვთქვა?

ჯილპილმი. მე შენ... მე შენ... მე...

შოლცი. სისულელეა—სისულელე! ეხლა ნუ ვილაპარაკებთ ისეთს რასმე რომ...

ჯილპილმი. მე... მე... დამნაშავე ვარ შენ-თან, ბოროტი ვარ...

შოლცი. სისულელეა, სისულელე! რა სა-ჭიროა მველი იარის გამიზეზება!.. რაც იყო, წავიდა... მხოლოდ ერთს რასმე გთხოვ, ჩემო ბიჭიკო!..

ჯილპილმი. მაშ ამსადე ეს ციდო, განმა-თავისუფლე ამ ტვირთისაგან!..

შოლცი. ბატიება, სრული დავიწყება წარ-სულისა, ჩემო ბიჭიკო, სრული ბატიება და დავიწყება ყველაფრისა!

ჯილპილმი. (დაიკვნესებს). გმადლობ! (გულს შემოეყრება).

შოლცი. რას ამბობ, ბიჭიკო, რაო? რა გე-

შართება?! (წამოავლებს ხელებს გულშემოყრილ ვილპელმს და მოასწრობს ახლო სავარძელზე მიტანას და შიგ ჩააწვენს). ეჭი, ემანდ ვინა ჩართ? (შემოვლენ საჩქაროთ ამ ხმაურობაზე იდა, რობერტი, ავგუსტა, მინა შოლცისა და მარიამ ბუხნერისა).

## III

შართ შოლცისა.	}	ღმერთი ჩემო, გვიშვე-
მარ. მუხრანისა.		(ერთად) ლეთ!

ნეტა რა მოხდა, რა ამ-	ნავია?! და.	გილი, გილი!
შოლცი. ღვინო! ღვინო—მალე!		რა ღვინო—მალე!

და. (გარბის იმ წამსვე და გამოაქვა ბოთლით ღვინო).

შოლცი. (პირში ასხამს შვილს ღვინოს).

აჯგუსფა. რა დაემართა?

და. (მუხლებზე დაჩოქილი, ეხვევა ვილპელმს). ყინულისავით გაციებულა. (შოლცი). ხომ არა უჭირს რა... ხომ არ... (ცრემლი წასკდება). მეშინიან... მკვდარსა ჰეგაგს!

შოლცი. ტსს! (ყველანი გაფაციცებით თვალყურს ადევნებენ ვილპელმს).

ვილპელმი. (დაახველებს, წამოინძრევა, თვალებს გაახელს და მერე ისევ დახუჭავს, თითქოს ძილი ერევაო, მერე თავს სავარძელზე დააყრდნობს—თითქოს ჩაეძინაო).

შოლცი. (მაღლა). დიდება შენდა ღმერთი!  
ვილპელმი. (წამოიწევა—თვალს მოავლებს ყველას, შემკრთალი ისევ ჩაიძინებს. იდა აცრემლებული და მხიარული დედას მოეხვევა. რობერტი გულ-ხელ დაკრეფილი სდგას და თან ყველას ათვალიერებს. ავგუსტას პირთან მანდილი უჭირავს და ოთახში დადის და თან ვილპელმს შეჰყურებს. შოლცი და მისი ცოლი ერთმანეთს გადახედამენ რამდენჯერმე, ცოლი აღელ-

ვებით მივა ქმართან და მარცხენა ხელს ჩამო-  
ართმევს ჩუმაღ).

შინა შოლცისა. გმადლობ, ჩემო მეგობა-  
რო...

ავგუსტა. (მივა და ჰკოცნის მამას). ჩემო  
ძვირფასი მამილო!

რობერტი. (ერთბაშად მივა მამასთან და ხელს  
ჩამოართმევს).

შარ. შუსტერისა. (იდას მიიყვანს).

შოლცი. (ხელს ჩამოართმევს იდას).

იდა, (ხელზე აკოცებს).

ულცი. თქვენ აქ დარჩით, ჩვენ კი ყვე-  
ლამ თავი უნდა დავანებოთ ავადმყოფს.  
(იდას და რობერტს გარდა ყველანი გადიან).

რობერტი. (სიჩუმის შემდეგ). ბატონი იდა,  
იქნება ნება მომცეთ, რომ მე დავრჩე ავად-  
მყოფთან!

იდა. (მხიარულად, გაოცებული). აჲ, დიდის  
სიამოვნებით! ვილის დიდი ხანია თქვენ-  
თან ლაპარაკი ჰესურს. (ხელს ჩამოართმევს  
და მარცხნივ გავა).

რობერტი. (სკამს მიიღებამს ვილპელმის სავარ-  
ძელთან და შეჰერებს მძინარეს. ცოტა ხნის  
შემდეგ ამოიღებს თავის ჩიბუს და უნდა მოს-  
წიოს, მაგრამ მოაგონდება რომ ავადმყოფთან  
არის და მიანებებს თავს).

ვილპელმი. (ამოიოხრებს და გამოიზმორება).

რობერტი. (ნელა და მოწიწებით). ვილ-  
პელმ!

ვილპელმი. (დაახველებს—გაოცებით შეჰერ-  
ებს, მერე მიხვდება). რა იყო?

რობერტი. თავს როგორა გრძნობ?

ვილპელმი. (სიხარულით შეჰერებს ძმას). რო-  
ბერტ, ეგ შენა ხარ?

რობერტი. დიახ, ეგ მე ვარ—რობერტი...  
თავს როგორა გრძნობ?

ვილპელმი. გარგად! (ახველებს). ესლა უკეთ

ვარ! (უნდა წამოდგეს, მაგრამ ვერ ახერხებს, იღიძება). ნეტა რა მოხდა აქა?

რომელც. ჯერ დამშვიდდი... ისეთი რა-  
მე მოხდა, ვილჲელმ, რაც ყოვლად შეუძ-  
ლებელი მეგონა.

ვალპეტა. (მიმხვდარი). დიახ, მეც ასე მგო-  
ნია.

რომელც. განა შესაძლებელი იყო?.. და  
წარმდიდგინე, ყველაფერი შესაძლებელი  
ყოფილა!

ვალპეტა. ეხლა თან და თან მაგინდება!  
ოჟ, რა საოცარი და ნეტარი წამი იყო ეგ  
შერიგება, რობერტ! (თვალები ცრემლით ემ-  
სება).

რომელც. (ოღნავ აკანკალებულის ხმით). ჩემ-  
თვის ერთი რამ არის შეურყეველი: მამა-  
ჩვენს ტყეუილ-უბრალოდ ვაიცხავდით.  
ჩვენდა სასირცხვილოდ უნდა გამოვტყ-  
დეთ, რომ ჩვენ სრულებით არ ვიცნობ-  
დით, თურმე, მოხუცსა.

ვალპეტა. მამას? დიახ, ჩვენ მას სრუ-  
ლებით ვერ ვიცნობდით და მერე რა უც-  
ნაურად მოხდა ყოველივე ეგა. მოხუცს,  
თურმე, ვუყვარვართ! რა გულ-კეთილი და  
სათნდიანი კაცია!

რომელც. ჩვენ კი არ ვიცნობდით დღემ-  
დე, რომ ეგეთი იყო! ჭკუა-გონებით კი მე  
ყოველთვის ვიყავი მიწვედრილი... მე  
არასოდეს არ ვაბრალებდი მამას შენსა ან  
ჩემს სიბეჩავეს. დიდისანია მე გონებით  
მამას არ ვამტყუნებდი, მაგრამ დღეს კი  
ებ ბირველად გავიგე გრძნობით და არა  
გონებით... ეხლა ვნახე, შენ რომ თავს  
დაგტრიალებდა, თითქოს თავში გრდემლი  
დამკრესო! ერთი რამ მიკვირს, რატომ  
ადრე არ იჩინა თავი იმ სათნო გრძნობამ,

რომელიც, უაშველია, მამაჩემსაც აქვს, შენც და მეც... ეჭვი არ არის, რომ ამ გრძნობას მამაჩვენი გზას არ აძლევდა არასოდეს... და მკონია ჩვენც ვმალავდით ამ სათნოებას მრავალ წელთა განმავლობაში!

ჯოლჲლმი. ჩემთვის ეხლა პირველად ცხადი შეიქმნა, რომ ადამიანი, არა თუ სხვანაირად ექცევა ყოველ თავის მსგავს ადამიანს, არამედ თითონაც თავის არსებითაც სხვანაირია ამა თუ იმ დამოკიდებულებაში.

რომელც. მე კიდევ ერთი ვერ გამიგია: ებ სხვა და სხვანაირობა რატომ მხოლოდ ჩვენა გვჭირს! რა არის რომ ჩვენ ერთმანეთს მუდმივ ვიშორებთ?

ჯოლჲლმი. ამას მე აგინძნი: ჩვენ გვაპლია სულისა და გულის სიტბოგება—სიბეთე. აი, თუნდ მაგალითად, იდა: იგი ყოველისფერში ცხოველმყოფელია. იგი არასოდეს არავის არ ჰავავს, პირიქით ყველას თანაგრძნობით ეკიდება. ყველა ებრალება, ეცოდება. ყველაფერს ინდობს. აი ეგ არის პირველი საქმე...

რომელც. (წამოდგება). ეხლა როგორ-და ხარ?

ჯოლჲლმი. ეხლა უფრო თავისუფლად გსუნთქავ, უპეთა ვარ...

რომელც. მაშ შეგიძლიან მალე გამოხვიდე სავაჭმელდ...

ჯოლჲლმი. კეთილი... მე კიდევ ცოტას... გარგი, შენ წადი...

რომელც. გარგი. (მიდის და ერთბაშად მობრუნდება). გამიგონე, ვილჲელმ! არა, მე არ შეგიძლიან არ გამოგვსთქვა ჩემი აზრი შენ საქციელზე... შენი ქცევა ყოველად მოსაწონია... მე წინად მრიელ ვიყავი შენს წი-

წაადმდეგ... თუ გინდა მოურიდებლად გე-  
ტყვი... დღეს პირველად ვიგრძენ შენდა-  
მი... მე მზათა ვარ ჩემს თავს ჩავაფურთ-  
ხო... ხომ კმაყოფილი ხარ ეხლა?.. მაშ  
სიგეთე მიყავი და ნუ ჯავრდბ ჩემზე.., მე  
ხომ გარგად მესმის, რომ შენ ურიგოდ  
გექცევდი... იმიტომ ვაძაგებ ჩემს თავს  
და ბოდიშს ვიწდი შენთან... ხომ გაიგე?  
გესმის?

ვილჰელმი. (ცრემლ მორეული). მმაღ! (გადა-  
ეხვევიან ერთმანეთს).

რომერცი. (გაივლის მარჯვნივ, ჩაფიქრებული  
ამოილებს ჩიბუს, გასტენავს და აანთებს—მოს-  
წევს და წაიღუდნებს). რა ჯამბაზური სული  
გვიდგია! (მერე გაეშურება კარებისაკენ და მო-  
უბრუნებლივ იტყვის). მე ეხლავ გამოგიგ-  
ზავნი იდას (გადის).

ვილჰელმი. გმადლობ, რობერტ! (თავისუფ-  
ლად ამოისუნთქავს და სიამოვნებით გაივლის  
ოთახში. მერე შემოდის იდა).

#### IV

იდა. (გამოვა და მოეხვევა ვილჰელმს). ვი-  
ლი!

ვილჰელმი. ეხლა ხომ ბედნიერი ხარ, იდა?  
ოჟ, რა სულმნათნი ხართ? მაინც ხომ შე-  
სძელით ჩემი განკურნვა, ხომ განმათავი-  
სუფლეთ საშინელის ტვირთისაგან! ეხლა  
ჩემთვის ახალი ცხოვრება იწყება! მე თი-  
თქოს ხელ ახლად დავიბადე, ფრთები შე-  
მესხა!.. ეხლა ძალ-ღონესა ვგრძნობ. ეხ-  
ლა ნურაფრისა ნუ გეფიქრება, იდა; მე  
ჩემს საწადელს მივაღწევ, მე დავანახვებ  
მამაჩემს, თუ რა შეუძლიან მის არამზადა  
შვილს... მე დავუმტკიცებ, თუ რა ძალ-  
ღონის პატრონი ვარ და რის შექმნა. მე-  
მიმდინარე... იგი აშკარად დაინახავს ჩემს

მლიერებას, რომლის წინაშე ყველანი ქედს  
მოიხრიან! თუ დღემდე ხელ-ფეხ შეკრუ-  
ლი ვიყავი, ეხლა კი თავისუფალი ვარ და  
შენც დაინახავ, თუ რამდენს შევქმნი მე  
ჩემის ნიჭით და მეცადინეობით.

იდა. აი აგრე სჯობიან! განა ტყუილს გე-  
უბნებოდი, რომ შერიგების შემდგგ გამო-  
ცოცხლდები-მეთქი... დმერთო, რა ბედნი-  
ერები ვიქნებით, რა ბედნიერები! (ორნივ  
ალტაცებულნი დადიან ოთახში).

ვილჲელმი. თითქვს გაზაფხულის სიომ  
ჩამოძერა ამ გაყინულ ფჯაზშიც! (ათვალი-  
ერებს დარბაზს, ამ დროს შემოდის მინა შოლ-  
ცისა).

## V

მინა შოლცისა. (დაინახავს რა მათ ერთად,  
უკან აპირებს წასვლას).

იდა. (დაინახავს მინას). არა, არა, დედი-  
ლო; გაბარვა როგორ იქნება!

ვილჲელმი. (სიხარულით მიეგებება იდასთან  
ერთად). დიახ, დიახ, დედაჩემთ, ნუდარ  
იბარები!

მინა შოლცისა. (ვითომდა უკმაყოფილოდ), არა  
მე აქ მეტი ვარ!

ვილჲელმი. სანატრელი წარ. (ვილჲელმი და  
იდა ძალზე ებლუჭებიან, არ უშვებენ და თან  
ეხვევიან).

მინა შოლცისა. რას შვრებით, შვილებო,  
ხომ შემომარღვიეთ ყოველისფერი.

ვილჲელმი. მაგაზე ნუ ნაღვლობ! ეხლა  
შენს წინაშე სრულებით სხვა კაცი სდგას! (ჩაუდგება იდას და დედას შუაში და ორთავეს  
ხელს მოჰკიდებს). მოდი აქ, ჩემი ბებრუა-  
ნა! აბა შემოსედეთ ერთი ერთმანეთს...  
აი, აგრე... ეხლა წელი ჩამოართვით ერთ-  
მანეთსა!

მინა შოლცისა. ძრიელ კარგი.  
ვილჰელმი. ეხლა გადაკოცნეთ ერთმანეთი!

მინა შოლცისა. (ტუჩებს გაიშენდს წინსაფარით). შე ბრიყვალ, განა უშენოთ კი ვერ მოვახერხებდით ამას. (სიცილით ჰკოცნიან ერთმანეთს. შემოდის ფრიბე).

## VI

ფრიძე. (გამოდის სამზარეულოდან და თან მოაქვს «ფუნში» ქვაბით).

ვილჰელმი, დჰო, აი ებ კი მოსაწონია; ფრიძე, კარგი ფუნშია?

ფრიძე. ეხლა მე ფუნშს სრულებით არ გეახლებით. ერთი წვეთი რა არის, იმას არ ვიგარებ!

ვილჰელმი. არა, თუ ღმერთი გწამს!?

ფრიძე. მართალს მოგახსენებთ. წინად პიდევ გიახლებდით, მაგრამ ეხლა კი შაბაშ! ეხლა მე მხოლოდ მირ-მწარე არაყს გიახლებით!

ვილჰელმი. სთხოვე აქ გამობრმანდნენ. დღეს დიდი სიმშიარულე გვექნება.

ფრიძე. ეხლაგე, ბატონი! (გადის. იდა და ვილჰელმი შობის ხეზე სანთლებს აჩალებენ).

მინა შოლცისა. (ზის სავარძელში და სიხარულ-ით შესცერის ვილჰელმს და იდას). ვილჰელმ, გამიგონე!

ვილჰელმი. (საქმეში გართული). ეხლაგე, დედილი! ეხლაგე გავათავებთ. (შობის ხე, ჭაღები, შანდლები და სხვა განათებულია. იდა აწდის მაგიდას სუფრას, რომლის ქვეშ ნობათებია შენახული. ვილჰელმი დედასთან დაჯდება).

იდა. (კარს გააღებს სასაღილო ოთახში), აბა, ეხლა მობრმანდით! (მინა შოლცისას რიღაცის თქმა უნდა შვილისათვის, მაგრამ ქმრის შე-

მოსვლა დაუშლის. შემოდიან: შოლცი, ავგუსტი, რობერტი და მარიამ ბუხნერისა).

## VII

შოლცი. (ლვინისაგან წამოწითლებული, გულზე სუფრის პირსახოცი ჰკილია, მითომ და გაოცებული). ახ, ახ, ახ!..

მარიამ მუსიკისა. საუცხოვა!

ავგუსტი. (ძალდატანებით იღიმება).

რობერტი. (დაღის ჩიბუხით პირში და თან დაცინებით იხედება).

იღა. (მოპერიდებს ხელს ვილჭელმს და მიიყვანს მაგიდასთან, სადაც ნობათებია). ვილი, კი არ დამცინდ! (ქისას აძლევს).

ჯილჭელი. რა ჯიუტი წარ, იდა—მე წომგთხოვ... რომ... გმადლობ, დიდად გმადლობ, იდა!

რობერტი. (გამობერტყავს ჩიბუხს). ამისთანა ქისები დიდხანს ვერ სმლებენ!

შინგ შოლცისა. (რომელიც მაგიდასთან მიიყვანა მარიამ ბუხნერისამ). აბა, რა საჭირო იყო... მე წომ არათრით არ შემიძლიან მადლობა გადაგიშადოთ... მე არაფერი დამიმზადებია თქვენთვის. (ათვალიერებს ქსოვილ შავ თავსახვევს). ეგ ჩემთვის, ბებრუზანასათვის?.. გმადლობ, დიდად გმადლობ! (გადაპყონიან ერთმანეთს და მინა შოლცისა ჩამოჯდება საგარძელში მაგიდასთან).

იღა. (კრძალვით აძლევს შოლცს თამბაქოს ქისას). ნებას მომცემთ?

შოლცი. (გრძნობით). მე?.. მე?.. წა! წა! წა! მეც, პატარა მოზუცს, პატარა შობის წის, პატარა ნობათი!! დჲ, რა გარგი, კეთილი და მშვენიერი წარ, იდა! (აკოცებს). წომ მართალს ვამბობ, ვილჭელმ, წომ მშვენიერია! გმადლობ, ჩემთ გარვო გოგონავ, გმა-

დლობ! შევინახავ შენს საჩუქარს, სამუ-  
დამოდ შევინახავ!

იდა. მე ბედნიერი გარ, ექიმო, რომ გა-  
სიამოვნეთ... გმადლობთ ჩემისა და ვილ-  
ჟელმის მხრივაც! ჩომ მართალს ვამბობ,  
ვილი?

ვილჟელმი. (კრძალვით მიუკრება მამას). ღჟა-  
ებოდენი სიხარული ერთის საათის გან-  
მავლობაში!

შოლცი. (მხრებზე ხელს დაჰკურავს). დიდი წა-  
ნია დროა, ჩემო ბიჭიკლ, დიდი წანია  
დროა! (დაეშვება სკამზე და ვილჟელმთან საუ-  
ბრობს).

იდა. თქვენთვისაც მაქვს პაწია ნობათი,  
ბ-ნო რობერტ, ღღონდ სასაცილოდ აღარ  
აძიგდოთ!

რომერფი. (შემკრთალი). აბა, რათა, რა სა-  
ჭიროა!

იდა. მე ასე მეგონა, საცაა რობერტის  
ჩიბუხი ისე დამოკლდება, რომ ცხვირ-  
ბირს დასწვავს-მეთქი. ამიტომ შემებრა-  
ლეთ და გუშინ განვიზრახე თქვენთვის  
(ზურგის უკან ხელში ეჭირა ჩიბუხი, იმას გადას-  
ცეს). აი, ეს კიბეტა ჩიბუხი მომერთმია...  
როგორია? (საერთო სიცილი).

რომერფი. (არ ართმევს ჩიბუხს). თქვენ ხუმ-  
რობთ, ბატონი იდა! და ესეც არ იყოს, მე  
არ მჯერა, სულაც არ მჯერა...

მინა შოლცისა. (გაჯავრებული ვილჟელმს მი-  
ჰმართავს). შეუძლებელი ჩასიათის ბატო-  
ნია.

იდა. ღმერთს ენდეთ, რომ მე აზრად არ  
მქონია თქვენი წყენა.

რომერფი. საქმე ის არის, რომ მე შევე-  
ჩივიე ჩემს ძველს ჩიბუხს და ამას გარდა,  
თქვენ ზუმრობთ და...

იდა. (თვალები ცრემლებით ემსება და ხმა

ჯკანკალებს). თუ გი თქვენ აგრე ჰფიქრობ-დით, მაშინ რა თქმა უნდა. (ნობათ მაგი-დაზე დასდებს).

მარტიმ შესწყობით მივა თავის ქალთან, რათა შესწყვიტოს ეს უსიამოვნო ამბავი). შვილო, იდა! შენ მგონი დაგავიწყდა...

იდა. რა, დედილო!

მარტიმ შესწყობით. ეხლა ღრო, რომ და-ბირებული შეახრულო...

იდა. კარგი, დედილო, ეხლავე, —წავიდეთ. (ორნივე გადიან მარცხნივ).

მინა შოლცის. (რობერტს). შენ ხდე არ შე-გიძლიან რომ კაცს გული არ გაუფუჭო. (გადავა მარცხნივ და სავარძელში. ჩაჯდება).

კილპელმი. (დადის ოთახში ალელვებული და წამ და უწუმ რობერტს მტრულად შეჰყურებს. მერე გაჩერდება მარჯვნივ მაგიდასთან და შეჰყუ-რებს მარცხენა კარებს, საიდანაც იდა და დედა მისი გავიდა).

რომერცი. მერე რა იყო? რომ არ მესმის, რა გინდა ჩემგან?

აკგრესა. ის იყო, რომ შეგეძლო უფრო თავაზიანად და ზრდილობიანად მოქმედ-დი იდას!..

რომერცი. (პაუზა). ნეტავ თავს დამანებებ-დეთ! რა იხრად მეჭირვებოდა ის რაღაც ჩიბუზი! (გავა სცენის სიღრმეში და ჩამოჯდება სკამზე, მარცხნივ კარებისაკენ. უეცრად მოესმის ყველას სიმღერა და პიანინს ტკბილი ხმები, ყველანი ლაპარაკს შესწყვეტენ და თითქოს შე-შინებულნი ერთი მეორეს გადაჰქოდვენ. სიმღე-რის დროს თან და თან ყველას ეტყობა და ემა-ტება ალელვება).

იდა. (მღერის კულისებში).

შეუ დამეს საოცნებოს,  
როს ცით მოგვევლინა ღმერთი  
ჩვენთა ცოდვათ მოსანანად

მან გასწირა შვილი ერთი.  
ბეთლემს ქრისტე დაიბადა,  
ქვეყნად იქმნა სიხარული...  
შური, მტრობა უკუ ვაგდოთ,  
გავამეფით სიყვარული!..

შოლცი. (რომელიც ნაწყენია რობერტის უხერ-  
ხულის საქციელით, გაიგონებს თუ არა მუსიკას,  
აქეთ-იქით იმზირება მტრულად, თითქოს ეს  
არის, ვიღაცამ უნდა უმტყუნოს და მიტომ ყვე-  
ლასაგან მოშორებით არის).

მინა შოლცისა. (სიმღერის შუა ადგილას ცრემ-  
ლი მოერევა და ქვითინებს). ოჭ, რა საუცხო-  
ვდა!!.

რობერტი. (აღელვებული გადადგამს რამდენსა-  
მე ნაბიჯს სიღრმეში). აბა, ამის შემდეგ მეტი  
არა დაგვრჩენია-რა. (ისევ დადის და დაცინ-  
ვით ილიმება. როცა ავგუსტასთან გაივლის რა-  
ლაცას ჩუმად ეტყვის).

ავგუსტა. (რომელიც ყურს უგდებს სიმღერას,  
გაბრაზებით მოიშორებს რობერტს).

ვილჰელმი. (აღელვებული თითებით არახუნებს  
სტოლზე. რობერტის ქცევა აშფოთებს).

რობერტი. (მუსიკა მასზე საშინლად მოქმედობს  
და რაყი ვერას ამბობს, უფრო ანჩხლობს. სიმ-  
ღერის დასასრულ - მის ბაგედგან გამოქრის სიტ-  
ყვები, რომელნიც ალბად დასასრულია უკვე სა-  
თქმელად განზრახულის საუბრისა) თვალთ-  
მაქციობა და ტაკი მასხარებაა!! (მისი სიტ-  
ყვები მწარეა და კილო გესლიანი. ყველანი  
წყენით შეხედავენ რობერტს. ლაპარაკი წვრი-  
ლის ხმით არის).

მინა შოლცისა ღა ავგუსტა. (ერთად). რო-  
ბერტ!!.

შოლცი. (თავს იმაგრებს ბრაზისაგან მოზღვა-  
ვებული).

ვილჰელმი. (ბრაზისაგან გაფითრებული გაი-  
წევს რობერტისაკენ).

მინა შოლცისა. (გადაელობება ვილჰელმს და მოქვევა ვედრებით). ვილჰელმ, ღვთის ბულისათვის. ჩემი გულისათვის!..

ვილჰელმი. (უკან მობრუნდება). კარგი, დედილი, კარგი! (ალელვებული ოთახში დადის და თავს იმაგრებს მორეულ სიბრაზისაგან. ამავე დროს იწყება სიმღერის მეორე ხანა).

იდ. (სიმღერას ისევ იწყობს).

ქრისტემ მონობა უარჰყო,  
დამყარდა თავისუფლება,  
სათნა კაცი დღეგრძელია.  
ბოროტი კი იღუბება!

ვილჰელმი. (ძალზე ალელვებული მიღის იმ ოთახისაკენ საიდანაც სიმღერაა).

მენა შოლცისა. (გზას უღობავს). ვილჰელმ რას აპირებ?

ვილჰელმი. (ბრაზ მორეული). სიმღერა უნდა შესწყვიტონ!

ავგუსტა. სწორედ გაგიჟდა! სად მიდინარ? (გზას ეღობება).

ვილჰელმი. (უნდა მოიშოროს). თავი დამანებეთ-მეთქი, უნდა გაჩუმდნენ, სიმღერა შესწყვიტონ!

მინა შოლცისა. ღვთის გულისათვის! თუ არ დაიშლი, რაც გინდა ის ჩაიდინე, დღონდე მე კი ამ საღამოდან ვეღარ მნახავ!

რობერტი. თავი დაანებე, დედავ; როგორც უნდა ისე მოიქცევს!

ვილჰელმი. რობერტ, გირჩევ უბიდურეს ზომამდე ნუ მიმიყვან. იმ გრძნობიერი სიტყვების შემდეგ, რაც შენ ამას წინადებებს წინაშე გადაშალე, ეხლანდელი შენი საქციელი მით უფრო საზიზდარია!

რობერტი. მე შენ სრულებით გეთანხმები! სრულებით!

ვილჰელმი. (ისევ ოთახისაკენ მიეშურება).

მინა შოლცისა. (ისევ შეაყენებს). ღმერთო.

ჩემთ; აბა დატიქრდი, რას ჩადისარ? ხომ აწყენინებ!?

ვილპლმი. მე იმათ უკრძალავ, გავაჩუ-  
მებ, რადგან თქვენ ყველანი ერთად შეყ-  
რილნი, არა ღირჩართ იმის სიმღერად.

რომელც. (შეუტევს ვილპლმს და მოურიდე-  
ბლად შეჰყურებს). ჩვენ თუ არა ვღირვართ,  
მარტო შენ ხომ, რა თქმა უნდა, ღირ-  
ჩარ!!

შინა შოლცისა. რაო, კიდენ ძველებურად  
დაიწყეთ?!

ვილპლმი. არა, ისინი უთუთდ უნდა გა-  
ჩუმდნენ!

შინა შოლცისა. შვილებთ, შვილებთ! (იწ-  
ყება მესამე ხანა სიმღერისა).

ღდა. (სიმღერის მესამე ხანას იწყებს).

გითარ ვაქოთ და ვადიდოთ  
ჩვენი ქრისტე მაცხოვარი,  
ის გვანიჭებს ცხონებასა,  
მან გაგვისნა ზეცის კარი;  
მას ვევედროთ, მას ვემონოთ,  
ამ დიდებულ შობის დღესა,  
ვინც სათნოა და კეთილი,  
მას უქადის სამოთხესა!

ვილპლმი. ღდა, რა სამაგლობაა, რა სულ-  
მდაბლობაა!.. პატიოსნებას ვფიცავ, მე  
თქვენ მაგიერად ვწითლდები!

ავგუსტა. (ნაწყენი). მართლაც და არც ისე-  
თი სამაგლები ვართ!

ვილპლმი. ავგუსტა, რომ შეიგნებდე თუ  
რა სამაგლები ვართ!

ავგუსტა. ეხლა მე უნდა გამქელონ! ჩე-  
მისთანა უხეირო ხომ არავინ არის ქვე-  
ყანაზე. სულ სხვა საქმეა იდა!

ვილპლმი. (გაანჩხლებული). ნუღარ ჰებედავ  
ამ სახელის ხსენებას!

ავგუსტა. ხომ არ გაგიჟდი? ბირს ხომ არ

ამიგრავ... მართლაც და რა იყო? რა ამ-  
ბავია? ციური ანგელოზი წომ არ არის?

ვილპლმი. (ყვირას). წმა, კრინტი-მეთქი!  
აჯგუსფა. აბა, შენ რა გელაპარაკო, როცა  
შევვარებული წარ! (ზურგს შეუქცევს).  
ვილპლმი. (წაავლებს ხელს მხრებზე). გომ-  
ბიც! მე შენ გაჩვენები!..

რომერფი. (ხელს წაავლებს ვილპლმს და მკა-  
ფილ ეტყვის, მკაცრალ). ვილპლმ, შენ გე-  
ტყვიდა წელახლა გინდა დაიწყო!..

ვილპლმი. ოჟ, თქვე სამაგლები!  
აჯგუსფა. და მაგას შენ ამბობ? შენა, რო-  
მელმაც მამაზე წელი აღიღე...  
შოლცი. (გაბრ-ზებული, ბრძანებით). აგგუს-  
ტა, გადი აქედან; ამ წუთშივე გაეთრიე  
აქედან!

აჯგუსფა. რათა? რა ჩავიდინე ისეთი?  
შოლცი. ეხლავე გაეთრიე. ეხლავე, ამ  
წუთშივე!!

შინა შოლცისა. ღმერთო, როდის მომაშო-  
რებ აქაურობას!.. ავგუსტა, წომ გაიგე მა-  
მაშენის ბრძანება? რატომ არ ემორჩი-  
ლები?!

რომერფი. (რომელიც ზის მაგიდასთან მარც-  
ხენა მხარეს). რაც, დედა ჩემო! რას ჩააცივ-  
დით ავგუსტას... მართლა, ეხლა ბავშვი  
წომ არ არის; დვთისით, ეხლა დროებაც  
გამოიცვალა ცოტათი!

შოლცი. მაგრამ მე კი არ გამოვცვლილ-  
ვარ... ამ სახლში მე ვარ ბატონი!

რომერფი. სასაცილო კია?!  
შოლცი. (ბრაზ მორეული). ავა-ზა-კებო!!  
არამზადებო!! მე თქვენ გიჩვენებთ, მე  
თქვენ ქუჩამი გაგყრით!

რომერფი. სამწუხაროა, სასაცილო რომ  
არ იყოს!..

შოლცი. (შეიმაგრებს ბრაზს და მრისხანე მშვი-  
ლობიანობით იტყვის). ან შენ, ან მე, ეს სახ-

ლი ეხლავე უნდა დაგტოვით! ეხლავე, ამ წერშივე!

რომერცი. (წამოდგება და გასასვლელისაკენ მიდის). რა თქმა უნდა მე გაგალ და დიდის სიხარულით წავალ!..

მინა შოლცისა. (ვედრებით და თან ბრძანებით). რობერტ, შენ აქ დარჩები!

შოლცი. არა, ის აქედან წავა!

მინა შოლცისა. ფრიც, გამიგონე! მწოლოდ რობერტმა არ დამიგიწყა... მრავალ წელთა განმავლობაში მწოლოდ რობერტს არ დავვიწყებივარ, ერთად ერთი მწოლოდ ის იყო!..

შოლცი. ან ისა, ან მე!

მინა შოლცისა. განა არ შეიძლება ისე მო-  
ერხდეს რომ ორთავენი აქიყვნეთ? განა...

შოლცი. მაშ კარგი, მე წავალ! მე უნდა დაგმორჩილდეთ... შენ და შენი არამზა-  
დების ბუნაგი ყოველთვის იმარჯვებდით  
ჩემზე!..

ვილჰელმი. (მამისაკენ გაიწევს). მამილო, შენ აქ დარჩი! და თუ მაინც და მაინც წასვ-  
ლა განიზრახე, მაშინ ერთად წავიდეთ.

შოლცი. (უნებლიერ უკან იწევს შიშით და ბრაზით). თავი დამანებე, შე არამზადავ!  
(დაეძებს თავის ბარგს). არამზადებო და ქურ-  
დებო!.. თქვე სამაგლებო!

ვილჰელმი. (გაანჩხლებით). მამავ, შენ ხელ-  
ახლად გვიწოდებ ისეთს სამარცხვინო სა-  
ხელებს... შენ, რომელიც თავი და თავი  
მიზეზი ზარ ჩვენს ასეთს... არა, მამილო,  
მე ეგ არ მინდოდა მეთქვა... მე თან წა-  
მიყვანე, მეც შენთან ვიქნები, რომ მოვი-  
ნანიც ჩემი ცოდნა! (მამას მხარზე ხელს და-  
ღებს).

შოლცი. (გაბრაზებული, შეშინებული უკან  
მოშორდება). თავი დამანებე-მეთქი. მე კარ-  
გად ვიცი ყველა ჩემი მტრების ოინები და

ჭახრაკები! განა თქვენ ვაჟგაცები წართ?  
მე... ჩემზე იძიებთ შურს? ჩემზე, რომე-  
ლიც ასე დაუმდლურდა.—იქნება ბევრი და-  
ნაშაული შიმიძღვის, მაგრამ... მე მაინც...  
მე წომ მაინც... მე...

ვილჰელმი. მამავ, მამილო! რა გემართე-  
ბა! გონს მოდი!

შოლცი. (მიღის კიბისაკენ და დუდუნებს). მე  
ყოველთვის მტკიცე ჭიყავი, მე ყოველ-  
თვის... მე ყოველთვის... მე...

ვილჰელმი. (მოეხვევა რომ გააჩეროს). მამავ,  
დამშვიდდი! გონს მოდი!..

შოლცი. (თავს იცავს და შიშისაგან ვეღრების  
კილოთი გაიძახის ბავშვისავით). ნუ მცემ, ნუ...  
ნუ გამლახავ!.. ნუ მცემ!.. ნუ...

ვილჰელმი. ღვთის გულისათვის, მამავ,  
დამშვიდდი!

შოლცი. ნუ გამლახავ! არ გაბედო ჩემი  
ცემა! ნუ მცემ წელ-ახლად!.. (ცდილობს მო-  
იშოროს ვილჰელმი).

ვილჰელმი. დაე, განმეს ეგ წელი, მამილო!  
ღვთის გულისათვის, მაგაზე ნუ ფიქრობ,  
დაივიწყე ყოველისფერი! მამავ, მამილო!  
შენ მაგაზე ნუ ფიქრობ!

შოლცი. (თავს დაახწევს) მიშველეთ, მიშვე-  
ლეთ!

ვილჰელმი. (თან მისდევს). შენ მცემე! შენ  
დამგარ!!

შოლცი. მიშველეთ, მიშველეთ! ღვთის  
გულისათვის, მიშველეთ! (გაიქცევა ზემო სარ-  
თულში, მას მისდევენ ყველანი, ვილჰელმის გარდა).

ვილჰელმი. (მიეყრდნობა კარებს და ქვითინებს).  
ღმერთო! ეს რა მომივიდა? ეს რა ჩავიდი-  
ნე! (შემორბიან მარიამ ბუხნერისა და იდა).

### VIII

შარიამ შუპრესა. (შემორბის). ღმერთო  
ძლიერო! რა ამბავია, გიდევ მოხდა რამე?  
(გარბის ზემო სათრულში).

იდა. (შემორბის ფერ-მიხლილი). გული რადა-ცას მიგრმნობს! ვილი! რა გემართება, რა იყო?

კილპელმი. არა, არაფერი! სრულებით არა-ფერია! მე მინდვდა ისეგ ჩემს მარტოცბას მივცემოდი! ჩემისთანა უბედურ კაცს—მარტოცბა-და დარჩენია!

იდა. რას ამბობ? არა გამეგება-რა, არა მესმის-რა!

კილპელმი. (მკაცრად და ანჩხლად, გადადის მეორე მხარეს). რა თქმა უნდა, არ გაგეგება და არა გესმის რა! ეგ ძველი ლექსია, ჩე-მი დედ-მამაც მთელი თავიანთი სიცოცხ-ლე სულ სხვა-და-სხვა ენაზე ლაპარაკობ-დნენ!.. შენ ჩემი არა გაგეგება-რა, არა გესმის-რა! ან, რა თქმა უნდა, შენ ღცნე-ბით ცხოვრობ, მე კი... არა, სანამ არ გან-ვიკურნები, მანამ მე შენთვის ყოველთვის გაუგებარი ვიქნები!

იდა. (ჯერ გაოცებულია და მერე ტირის).

კილპელმი. (ჯდება). ეხლა ხომ ხედავ ნამ-დვილს ჩემს სახეს... შენ ტირი ეხლა... ისეგ ესა სჯობიან, ვიდრე მერე მთელი შენი სიცოცხლე ცრემლსა ღვრიდე... არა, იდა, ჩვენ შორის ყველაფერი უნდა გათავ-დეს. ეგ ჩემი შეურყეველი გადაწყვეტი-ლებაა!

იდა. (ეხვევა). არა, არა, ეგ შეუძლებელია!

კილპელმი. შენ ოდონდ გაითვალისწინე ყოველივე ის, რაც აქ ნახე! ნუ თუ ჩვენც ასეთი ჭერა და აჯახი უნდა დავაფუმნოთ!?

იდა. ჩვენი ჭერა და აჯახი უგეთესი იქ-ნება.

კილპელმი. ეგ დმერთმა უწყის!

იდა. მე მაგას გულითა ვგრძნობ!

კილპელმი. იდა, განა ვერა ხედავ, რომ უფსკრულში მოყვები!

იდა. შენ ოდონდ ხელი მომეცი და მე არაფრისა არ მეშინან!

ვილჰელმი. იდა, უარი სთქვი ჩემზე... ნუ გინდიგარ... შენ ხომ პირველად შეგიყვარდა კაცი და ეგ პირველიც მე ვარ... ეხლა შენ ღცნებობ! შენ კი ჩემთვის პირველი როდი ხარ! მე ყოვლად გაფუჭებული და გარევნილი კაცი ვარ! ჩვენ აქ ყველანი ავადმყოფნი ვართ, გესმის, ავადმყოფნი!

იდა. მაგრამ შენ მაინც ჩემი ხარ, ჩემი! (ეხვევა ცრემლიანი).

ვილჰელმი. მე შენი ღირსი არა ვარ, იდა!..

იდა. მაგას ნუ ამბობ, ვილი! მე უშენოდ ვერ გავძლებ! ნუ მართმევ შენს ხელს, შენს ამხანაგობას!

ვილჰელმი. (რბილად). იდა! (ეხვევიან და ჰკოცნიან ერთმანეთს).

იდა. ეხლა შენ სიტყვა უნდა მომცე, რომ...

ვილჰელმი. გეფიცები, რომ დღეიდან... (სიტყვას აწყვეტინებს უეცრივი კივალი ზემო სარტულიდან. იდა და ვილჰელმი ერთმანეთს გადახედავენ).

მინა შოლცის ხმა. ქმარი მიკვდება! ჩემი გეთილი, ჩემი ძვირფასი ქმარი მიკვდება! დჟ, დჟ! (ჩამორბის ფრიბე კიბეზე კალათით და მალე სამზარეულოში მიიმალება).

ავგუსტა. (ქვითინით ჩამორბის ზევიდან. ვილჰელმთან გახერდება, ცრემლები აღრჩობენ). ვისი ბრალია ესა, ვისი? აბა სთქვი, ვისი ბრალია? (ეშვება სავარძელზე ქვითინით. ზევიდან მოისმის ტირილი მინა შოლცისა).

ვილჰელმი. (დაბნეული). ავგუსტა!.. დედა! რა... რა მოხდა, რა ამბავია?!.

იდა. (გულში ჩაეხუტება და თითქოს ამშვიდებდეს). ვილი, ვაი თუ შპვე ყველაფერი გათავებულიყოს!

ვილჰელმი. (გაეშვებინება იდას და გარბის ზევით). მამავ! მამავ!..

იდა. (მისდევს). ვილი! ვილი!

83

3 365

ওঃ ১০ ২০ ৩৪৩.